საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 22 ივლისი, 2015 წელი.

№135 (7780)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

პროვინციალიზმის ტყვეობაში

ნაცები წარღვნას ვერ გადაურჩებიან!

„ბობოქარი“ ნაცები საზღვარსაც ეცნენ და მინისტრ ზაქარეიშვილის სახლსაც. განსაკუთრებული ყელყელაობით სააკაშვილის სულიერი ძე ბარნოვი გამოირჩეოდა. სწორედ მას დაავალა ნაცურმა ელიტამ სასაზღვრო აყალმაყალის ატეხვა. და მანაც ჩვეული „წარმატებით“ გაართვა თავი ზემდგომთა დავალებას.

მაგრამ მარტო ბარნოვი იყო დავიდარაბის ამტეხი? არა! მას მხარს უმშვენებდნენ სხვა ნაცებიც რატიანის, ხაბაზის, მინაშვილის, ტუღუშის, შარაშენიძის, კვესიტაძის, სხვათა სახით – ზოგი პრესის ფურცლებზე, ზოგიც ელექტრონულ მედიაში, რამაც ერთი რიგითი ამბავი ჭიქაში დატრიალებულ ქარიშხალს დაამსგავსა.

ქართული პოლიტიკური ისტერია გრძელდება

4

უსაზღვრებო საქართველო?

3

სოსო ცინცაძე:

თუკი დემილიტარიზაციის პროცესი მიმდინარეობს, რატომ გადმოვიდნენ აქეთ, რატომ ჩვენები არ გადავიდნენ იქით?!“

დევიდ კრემერი:

ქართველებს შეუძლიათ, მილსადენის ალტერნატიული მარშრუტი ჩუმად ეძებონ, მაგრამ ამაზე ხმამაღალი განცხადებები არ აკეთონ

4

„ფაქტობრივად, პრეზიდენტი ორმაგ თამაშს თამაშობს“

2

6

ტურისტთა ნაკადი და ტურისტული ინფრასტრუქტურა იზრდება და ძლიერდება

თუ გინდა დიდხანს ცოცხლო – ნუ იავადმყოფებ...

7

სიტყვა ილიას ნაქონი სიტყვის გადასარჩენად

9

11

17 საუკეთესო ცხოვრებისეული რჩევა

საქართველოს მთავრობა ასოციირების რეკომენდაციებს ასრულებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტის დონალდ ტუსკის გაფართოებული ფორმატის შეხვედრაზე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების გზებზე ისაუბრეს.

როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, საუბარი შეეხო შეთანხმებების იმპლემენტაციის მიმდინარეობასა და ქვეყანაში განხორციელებულ ფართომასშტაბიან რეფორმებს.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე ასევე აღინიშნა ევროკავშირთან სავიზო დიალოგის წარმატებით დასრულების შესახებ.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა აგრძელებს კომპლექსურ რეფორმებს და დარჩენილი რეკომენდაციების შესრულებას.

მხარეებმა თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები დასახეს, განსაკუთრებით ენერგოუსაფრთხოებისა და ტრანსპორტის მიმართულებით და განიხილეს კონკრეტული სტრატეგიული პროექტები. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებაზე. გამოითქვა იმედი, რომ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის საქმიანობა საოკუპაციო ხაზზე კიდევ უფრო გაძლიერდება.

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სავიზო დიალოგის წარმატებით დასრულება. მთელი მთავრობა არის მოტივირებული, რომ პირნათლად შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც ნაკისრი გვაქვს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ბატონ ტუსკს მივაწოდე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ევროკავშირთან ასოცირების გეგმის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს, არავითარი ჩამორჩენა არ გვაქვს. DCFTA-ს ფარგლებშიც მივყვებით მოცემულ გეგმას. ასევე, წინ მივდივართ VLAP-ის ნაწილში. პრაქტიკულად, ყველა ის ვალდებულება შევასრულეთ, რომელიც ვიკისრეთ და ჩვენ გვაქვს იმედი და მოლოდინი, რომ წლის ბოლოს ევროკავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილება პოზიტიური იქნება. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი მოსახლეობისთვის, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის დასასრულს.

◎ ინფორმაცია

ბელგიელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს ულოცავენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბელგიის სამეფოს პრემიერ-მინისტრ შარლ მიშელს და ბელგიელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს ულოცავს.

—ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ მტკიცე მხარდაჭერას, რომელსაც თქვენ უცხადებთ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. დარწმუნებული ვარ, ურთიერთგაგება და ნდობა ჩვენს ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება და გარდაიქმნება გრძელვადიან პარტნიორობად ორივე ქვეყნის სასიკეთოდ. კიდევ ერთხელ, ვსარგებლობ შემთხვევით და გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში, რომელიც მიმართულია ჩვენი მეგობარი ხალხის - ბელგიის სამეფოს მოქალაქეების მშვიდობის და კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვაში.

გაზის მიწოდება არ შეუწყვეტია

კომპანია „SOCAR Georgia Gas“ მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, საქართველოსთვის აზერბაიჯანის მხრიდან გაზის მიწოდების შეწყვეტის შესახებ უარყოფს და აცხადებს, რომ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება.

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის, ენერგეტიკის სფეროში მრავალი წლის წინ დაწყებული სტრატეგიული თანამშრომლობა გრძელდება და არანაირი საფრთხე ამ ურთიერთთანამშრომლობას არ ემუქრება, რასაც გაზმომარაგების კუთხით სახელმწიფო კომპანიებს შორის გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულებები ადასტურებს.

SOCAR Georgia Gas თხოვნით მიმართავს მედიასაშუალებებს გადამოწმების გარეშე აღნიშნული ტიპის ინფორმაციების გავრცელებისგან თავი შეიკავონ, რადგან არასწორად გავრცელებულმა ინფორმაციამ შესაძლოა, საზოგადოებაში ნეგატიური განწყობა გამოიწვიოს.

19 ივლისს მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კონკურენციის სააგენტოს მიერ ნავთობკომპანიების დაჯარიმების მიზეზით შესაძლოა, საქართველოს აზერბაიჯანიდან გაზმომარაგების პრობლემა შეექმნას“, — აღნიშნულია განცხადებაში.

სიახლე სასჯელაღსრულების სამსახურში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ახალი დასავლური სტანდარტების შესაბამისი საბადრაგო სამსახურის ავტოპარკი და ოფისი გახსნა.

ავტოპარკში განთავსებული მანქანები კატეგორიების მიხედვითაა დიფერენცირებული და განკუთვნილია არასრულწლოვანი, ქალი და ყველა რისკის სრულწლოვანი მამაკაცი მსჯავრდებულებისათვის. აქვეა, თანამედროვე სტანდარტების რეანიმობილები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებში მსჯავრდებულების დროულ და უსაფრთხო გადაყვანას უზრუნველყოფენ.

ახლად შეძენილი მსჯავრდებულთა გადასაყვანი სატრანსპორტო საშუალებები სრულად შეესაბამება დასავლურ სტანდარტებს.

◎ ტრაგედია

კახა კალაძე თურქ ხალხს სამძიმარს უცხადებს

ვიცე-პრემიერი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე თურქეთში მომხდარ ტრაგედიას ეხმაურება და თურქ ხალხს უსამძიმრებს.

„თურქეთის ტერიტორიაზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ტერაქტს ემსხვერპლა რამდენიმე ათეული ადამიანი და არის ასეულობით დაჭრილი. ტერორიზმი — ეს არის თანამედროვე მსოფლიოს შავი ჭირი და მთელი ცივილური სამყარო ერთიანი ძალებით წინ უნდა აღუდგეს ამ დამანგრეველ, კაცობრიობის მტერ ბოროტებას. ვუსამძიმრებ, უპირველეს ყოვლისა, დაღუპულების ჭირისუფალს, თურქ ხალხს, ხელისუფლებას და ვიმედოვნებ, რომ მსგავსი უბედურება აღარ დატრიალდება მათ ქვეყანაში“, — ნათქვამია კახა კალაძის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თურქეთის რესპუბლიკის ქ. შანლიურფას სურუჩის რაიონში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა 27 და დაშავდა 100-მდე ადამიანი.

შემთხვევა ქალაქის კულტურულ ცენტრთან ახლოს მდებარე კაფეში მოხდა. აფეთქებამ ხანძარი გამოიწვია. ქალაქი სურუჩი სასაზღვრო რეგიონში სირიის ქალაქ ქობანისთან ახლოს მდებარეობს. ქობანიში ბოლო რამდენიმე თვეა ქურთ სამხედროებსა და „ისლამური სახელმწიფოს“ ექსტრემისტებს შორის დაპირისპირება ინტენსიურად მიმდინარეობს.

◎ პოზიცია

„ფაქტობრივად, პრეზიდენტი ორმაგ თამაშს თამაშობს“

მთავარი პროკურორის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტის და ნაციონალური მოძრაობის პოზიცია თანხვედრაშია. ნაციონალური მოძრაობა მხარს უჭერს ინიციატივას, რომ მთავარი პროკურორი, პრეზიდენტის წარდგინებით, პარლამენტმა დაამტკიცოს. დეპუტატი ლევან ბეჟაშვილი ამბობს, რომ დღევანდელი პროკურატურის სისტემა, დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის ნაცვლად, პოლიტიკურ დევნას ახორციელებს.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ინიციატივა საკონსტიტუციო ცვლილებებს საჭიროებს, ხოლო მეორე მხრივ, არის კიდევ ერთი თემა, რომელიც იქცა განხილვის საგნად — მთავარი პროკურორის დანიშვნის საკითხი არ გახლავთ ერთადერთი, რაზეც ყოფილ ხელისუფლებას, არასამთავრობო სექტორს და ქვეყნის პრეზიდენტს საერთო პოზიცია აქვთ. ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ, თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს აქტიურ პოლიტიკაში მონაწილეობის მიღებას, მის გარშემო შესაძლოა, გაერთიანდნენ ნაციონალური მოძრაობის აქტიური სახეები. საუბარია დავით ბაქრაძეზე.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, მისი ბევრი წარმომადგენელი, რომელიც ყოფილ ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა, დღეს პრეზიდენტთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობს და შესაძლოა, ეჭვებს და მითქმა-მოთქმას ესეც უწყობს ხელს. ამიტომაც, ამაზე ექსპერტებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე ფიქრობს, რომ ეს დამთხვევა სრულიად ბუნებრივი პროცესია, იქედან გამომდინარე, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში იყო სხვა და ოპოზიციაში არის სხვა.

„როდესაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში იყო, მას სჭირდებოდა მკაცრი ვერტიკალი იმისთვის, რომ განეხორციელებინა ის, რასაც ახორციელებდა. ანუ, სჭირდებოდა ის სისტემა, რომელიც მან შექმნა, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა დღეს არის ოპოზიციაში და შესაბამისად, სულაც არ მოსწონს სისტემა, რომელიც მის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული“.

რაც შეეხება ნაციონალებთან პრეზიდენტის სამომავლო თანამშრომლობაზე ვარაუდებს, ექსპერტი ფიქრობს, რომ თუ პრეზიდენტი პოლიტიკაში გააქტიურებას აპირებს, მისი მხრიდან ნაციონალებთან კავშირი იქნება ძალიან მცდარი და სულელური ნაბიჯი.

„მე ასე შევაფასებდი შესაძლო კავშირს ნაციონალებთან. იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა არის ის სიმძიმე, რომელსაც ვერავინ ვერ გაუძლებს. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, პრეზიდენტი არის ნეიტრალური ფიგურა და მისი ერთადერთი ფუნქცია არის, უფრო აქტიურად დაუჭიროს მხარი ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

არასამთავრობო ორგანიზაციები დღევანდელი ხელისუფლებისგან ითხოვენ სწორედ იმას, რასაც თავის დროზე, ოპოზიცია ნაციონალებისგან ითხოვდა. შესაძლებელია, ამიტომაც იყოს ინტერესთა თანხვედრა. არა მგონია, რომ აქ რაღაცა შორს მიმავალი ზრახვები იყოს“, — ამბობს ვახტანგ ძაბირაძე.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია ყოფილი ხელისუფლების და ქვეყნის პრეზიდენტს საერთო პოზიციას იმით ხსნის, რომ 2016 წლის არჩევნებზე მთავარი განმსაზღვრელი იქნება საგარეო პოლიტიკა, შესაბამისად, პროდასავლურ ძალებთან ასოცირებული პარტიები ცდილობენ ერთიანი პოზიციის შექმნას.

საგარეო პოლიტიკური ფაქტორები დომინანტი ძალა ხდება ქართულ პოლიტიკაში. თავის მხრივ კი, პრეზიდენტი ამით ცდილობს, რომ თავისი პროდასავლური ორიენტაცია გაამყაროს ნაციონალებთან ერთად, რადგან პროკურატურის კანონის მიხედვით, მას ხელიდან ეცლება ბერკეტები, რომ ძალოვან სტრუქტურებზე ჰქონდეს რეალური გავლენა. ამით, ფაქტობრივად, პრეზიდენტი ორმაგ თამაშს თამაშობს“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მართა ლაბაძე

ყველა ჩვენ გვედავება მიწებს?!

თუკი დემილიტარიზაციის პროცესი მიმდინარეობს, რატომ გადმოვიდნენ აქეთ, რატომ ჩვენები არ გადავიდნენ იქით?!"

საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს საქართველო-სომხეთის საზღვართან, სოფელ საზაქენდში 10 ჰექტარით საზღვრის გადმოწევას. უწყების პრესსპიკერის დავით კერესელიძის შეფასებით, საქართველო-სომხეთის საზღვრის გადმოწევის ილუზია რეალურად საზღვრის დემილიტარიზაციამ შექმნა. თუმცა, სომხური მხარე აცხადებს, რომ დემილიტარიზაციის პროცესი შეწყვეტილია.

საქართველო-სომხეთის საზღვართან, სოფელ საზაქენდში 10 ჰექტარით საზღვრის გადმოწევას, რამდენიმე დღის წინათ რუსი ოკუპანტების მიერ თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალის სიახლოვეს, ე.წ. „საზღვრის" აღმნიშვნელი ბანერების აღმართვის პროცესის გაგრძელებად აფასებს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

— რა ხდება საქართველო-სომხეთის საზღვარზე და რატომ იძაბება საქართველოს საზღვრებთან ვითარება? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.

— ბატონო სოსო, რეალურად რა ხდება საქართველო-სომხეთის საზღვართან? საგარეო საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ არანაირი საზღვრის გადმოწევის მცდელობა არ მომხდარა და ეს ილუზია საზღვრის დემილიტარიზაციამ შექმნა..

— საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც თავის არც ერთ მეზობელთან არა აქვს შეთანხმებული საზღვარი. აი, თურქეთთანაც კი, თითქოსდა დემილიტარიზებული არის საზღვარი, თითქოსდა აღიარებულიც არის საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვარი, მაგრამ ორი თვის წინათ მეგობარმა თურქეთიდან ჩამომიტანა მე-11 კლასის თურქეთის ისტორიის და გეოგრაფიის სახელმძღვანელო, სადაც წერია, რომ აჭარა თურქეთის საზღვარშია მოქცეული და ამას სკოლაში ასწავლიან.

რასაკვირველია, თურქეთის ოფიციალური ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ამასთან კავშირი არა აქვს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ თურქეთი არ არის ისეთი დემოკრატული ქვეყანა, რომ სკოლის დირექტორმა და განათლების სამინისტრომ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ ეს საკითხი.

საქართველოს არც ერთ თავის მეზობელთან დადგენილი საზღვარი არა აქვს. თუკი დემილიტარიზაციის პროცესი მიმდინარეობს, რატომ გადმოვიდნენ აქეთ, რატომ ჩვენები არ გადავიდნენ იქით?! რატომ ხდება ისე, რომ ყველაფერში ვიღაცას ეშლება და სულ რატომ ვამართლებთ დანაკარგებს?

შერიგების მინისტრი გამოდის და ამტკიცებს, რომ არაფერი არ მომხდარა, სულ ასე იყოო. ზაქარეიშვილს დაძაბული უნდა უსმინო, თორემ რას ლაპარაკობს, ვერ გაიგებ. წინა ხელისუფლება ამბობდა, რომ ზღაპარია, საზღვარი არ გადმოწეულა, თოვლია და ვერ მივდივართო. აი, ასეთი დამოკიდებულება იყო ამ საკითხზე ყოველთვის. საზღვარი იმის არის, რომ სულ კონტროლქვეშ უნდა გქონდეს. თოვლი კი არა, ცუნამიც რომ იყოს, უნდა აკონტროლო შენი საზღვარი.

— სომხური მხარე აცხადებს, რომ დემილიტარიზაციის პროცესი შეწყვეტილია...

— ამიტომ, რასაკვირველია, მე არ მჯერა საგარეო საქმეთა სამინისტროს არც ერთი განცხადების. რა უბედურება გახდა საზღვრის დადგენა. მსოფლიოს ყველაზე გრძელი სახმელეთო საზღვარი არის რუსეთ-ჩინეთის საზღვარი, 8 ათასი კილომეტრია და ის დადგინდა, ჩვენთან რა ხდება? ზოგან 22 კმ-ია დასადგენი, ზოგან კიდევ — 160 კმ. რით ვერ დადგინდა ეს საზღვრები? მაგრამ არც პროფესიონალიზმი ჰყოფნით და არც პოლიტიკური ნება აქვთ.

— სომხეთის საზღვრის 10 ჰექტარით გადმოწევა, რამდენიმე დღის წინათ, რუსეთის მიერ ე.წ. „საზღვრის" აღმნიშვნელი ბანერის აღმართვა, შეიძლება ერთი გეგმის ნაწილი იყოს?

— რასაკვირველია ასეა. როგორც ქალბატონი მოგელაძე იტყოდა, გონივრული ეჭვის სრული საფუძველი გვაქვს, ვიგულისხმოთ, რომ ეს ერთი ჯაჭვია. ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის მიერ საზღვრის გადმოწევის პროცესი თითქოს ჩაცხრა და აგერ, სომხეთის მიმართულებით გააქტიურდა. რატომ ახლა და არა ერთი თვის წინათ? ჩვენ ხომ ვიცით, რომ სომხეთი, ისევე როგორც ცხინვალი, რუსეთის კარნახით მოქმედებს.

— რა შეიძლება იყოს საქართველოს საზღვრებთან ვითარების გართულების რეალური მიზანი, რის მიღწევას ცდილობს ამით რუსეთი?

— საქართველო დაარწმუნოს იმაში, რომ მას რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, არანაირი დამცველი დასავლეთში არ ჰყავს, ამიტომ ურჩევნია ისევ რუსეთთან დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან და ურთიერთკომპრომისებით რაღაცა შეთანხმებას მიაღწიონ. დღეს თვითონ რუსეთსაც არა აქვს საუკეთესო დღეები, ამიტომ რუსეთი დღეს ადვილად წამოვა იმ დათმობებზე, რომელზეც არ წამოვიდოდა არავითარ შემთხვევაში უკრაინის კონფლიქტამდე და იმ სანქციების დაწესებამდე.

— თუმცა, დავით კერესელიძე ამბობს, რომ არანაირი საზღვრის გადმოწევა ან გადმოწევის მცდელობა არ მომხდარა. ამბობს, რომ მუშაობს საზღვრის დემილიტარიზაცია-დემარკაციის კომისია და ამ კომისიის ფარგლებში უნდა მომხდარიყო აღნიშნული მონაკვეთის დემილიტარიზაცია, გარკვეული ნაწილი ამ მონაკვეთის უკვე დემილიტარიზებულია...

— საერთოდ, ასეთი ქართველი დიპლომატი არ გამიგია. ადამიანები, რომლებსაც საერთაშორისო ურთიერთობაში ერთი ბროშურაც არა აქვთ წაკითხული, ერთი სტატიაც არა აქვთ დაწერილი, დღეს ელჩებად არიან გამწესებული. ბატონმა კერესელიძემ ასეთი განცხადებებით მოატყუოს თავისი უვიცი თანამშრომლები.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ან გვითხრას, რომ ეს ტერიტორია სომხების იყო, ან გვითხრას, რა ვქნათ, სომხებმა ძალით გადმოწიეს და ახლა ჩვენ ამ საკითხს დავსვამთ ევროსაბჭოში, იქ კი უსაქმური ლორდები გამოვლენ და კიდევ ერთ აღშფოთებას დააფიქსირებენ. ესენი ჩვენს საზოგადოებას თვლიან იდიოტებად და თვითონ არიან გენიოსები ეს გუშინ თანამდებობით გამხდარი დიპლომატები და არა განათლებით და პროფესიით.

მითხარით, ვინ არის პროფესიით დიპლომატი? სანტექნიკიდან დაწყებული, კბილის ექიმით და ფსიქოლოგით დამთავრებული ყველა დიპლომატია. საგარეო საქმეთა სამინისტროში იცით, რა პუბლიკაა შეკრებილი? — ძველი კაგებეშნიკები, ჩეკისტები და ათასი რჯულის შემთხვევითი ადამიანი. აი, ამათ იმედზე არის დღეს ჩვენი საგარეო პოლიტიკა.

თამთა ქარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

დონალდ ტუსკი კონფლიქტის ზონაში ჩავიდა

ევროსაბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან კიასტუტის იანკაუსკასისთან და მისიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გუშინ კონფლიქტის ზონაში ჩავიდა. დონალდ ტუსკი თანმხლებ პირებთან ერთად სოფლების ხურვალეთის და წითელუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას გაეცნო, თუმცა მედიისთვის კომენტარი არ გაუკეთებია.

რაც შეეხება სხვა მხრივ არსებულ ვითარებას, კონფლიქტის ზონაში ვითარება უცვლელია. პრესისთვის დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით კი, სოფლების ხურვალეთის და წითელუბნის მიმართულებით ჯერჯერობით შსს-ს ანალიტიკურ დეპარტამენტს 4 დღის წინათ დაწესებული რეგულაციები არ მოუხსნია.

საოკუპაციო ზოლთან მოსავლის აღება შეუფერხებლად მიმდინარეობს

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ დანელია შიდა ქართლში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ ხურვალეთში იმყოფებოდა. მინისტრი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების სამუშაობის მიმდინარეობის პროცესს ადგილზე გაეცნო.

„მოსავლის აღება უკვე დაწყებულია. ამ მიმართულებით მოსახლეობას პრობლემები არ აქვს. ჩვენ ტექნიკის გარკვეული რაოდენობა დავამატეთ, რათა შეფერხების გარეშე ჩაიაროს მოსავლის აღების პროცესმა. პრობლემები არსებობს წყალმომარაგებასთან დაკავშირებით. რამდენიმე სათავე-ნაგებობა ადმინისტრაციულ ზოლს იქით არის და, შესაბამისად, ჩვენ ვცდილობთ ოპტიმალური გამოსავალი ვიპოვოთ", — განაცხადა ოთარ დანელიამ.

შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „მექანიზატორი" საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მოსავლის აღებას შეუფერხებლად ახორციელებს.

სოფელ ხურვალეთის მკვიდრმა ალექსი ხუროშვილმა მინისტრს მადლობა გადაუხადა გაწეული დახმარებისთვის და აღნიშნა, რომ წელს ტექნიკა ისეა მობილიზებული, რომ მოსავალს ყველა დროულად აიღებს. სამინისტროს ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „მექანიზატორის" მიერ სოფელ ხურვალეთსა და წითელუბანში, სადაც დაახლოებით 250-300 ჰა მიწის ფართობია დათესილი, თავთავიანი კულტურის აღების სამუშაობისთვის 3 ერთეული კომბაინია მობილიზებული. დღეისათვის უკვე აღებულია 50 ჰა.

ნატოს დასკვნითი სწავლებები ვაზიანის პოლიგონზე

ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე ნატოს მრავალეროვნული სამხედრო სწავლების „Agile Spirit 2015"-ის დასკვნითი საველე სწავლება გაიმართა.

საჩვენებელ სწავლებას საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნების სამხედრო ატაშეები, ნატოს გაერთიანებული ძალების წვრთნების ცენტრის მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ლასლო ჟაბო, ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის საზღვაო ქვეითი ძალების სარდლის მოადგილე, პოლკოვნიკი ჯეიმს დონელანი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. საჩვენებელ სწავლებაში ასეულის დონის მრავალეროვნული ტაქტიკური ჯგუფის შემადგენლობაში ქართველ და ამერიკელ სამხედროებთან ერთად რუმინელი და ბულგარელი ჯარისკაცებიც მონაწილეობენ. სამხედროებმა „Agile Spirit 2015"-ის სწავლების ფარგლებში დასახლებულ პუნქტზე შეტევის ამოცანა განახორციელეს. ამოცანის შესრულების დროს სწავლების მონაწილეებმა შეჯავშნილი სამხედრო ავტომობილები, დაშავებულის საევაკუაციოდ კი UH-1H ироკეზის ტიპის შვეულმფრენი გამოიყენეს.

„Agile Spirit 2015" საშტაბო და საველე მომზადებას მოიცავდა. სწავლების მიზანს ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავსებადობის გაზრდა, კონვენციური ოპერაციების დროს ურთიერთმოქმედების დახვეწა და სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო ტაქტიკის გაცნობა წარმოადგენდა.

ეხმარებიან ვეტერანთა ოჯახებს

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" საქართველოს კანონს აქვეყნებს. აღნიშნული კანონის თანახმად, სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრის ოჯახის წევრზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გამოიყოფა სარიტუალო მომსახურების თანხა შემდეგი ოდენობით: ქალაქ თბილისში — 350 ლარი, თვითმმართველ ქალაქებში — 300 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტებში — 250 ლარი.

კანონის თანახმად, „სსიპ — ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ვეტერანის, პირველი რიგის კანონით, ერთ-ერთ მემკვიდრეზე (შვილ(ებ)ი, მშობლები, მეუღლე) ან სამკვიდრო მოწმობის მფლობელზე (ანდერძით ან კანონით მემკვიდრე) სამსახურის ბიუჯეტის ასიგნებებიდან გაიცემა ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით შემდეგი პირების გარდაცვალებისას:

ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილის;

ბ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის;

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილის.

დახმარების მიღების მიზნით გარდაცვლილის ოჯახის წევრმა სამსახურში უნდა წარადგინოს: განცხადება სამსახურის დირექტორის სახელზე, გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობა (მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, ცნობა პოლიციიდან მოწმობის დაკარგვის შესახებ), განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები და გარდაცვლილთან ნათესაური კავშირის დამადასტურებლად ან კანონით/ანდერძით მემკვიდრეობით დახმარების მიღების მიზნით, სამსახურში აგრეთვე უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ა) გარდაცვლილის შვილის შემთხვევაში, დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) გარდაცვლილის მეუღლის შემთხვევაში, ქორწინების მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვლილის მშობლის შემთხვევაში, გარდაცვლილის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) კანონით ან ანდერძით მემკვიდრის შემთხვევაში, სამკვიდრო მოწმობა.

ოჯახის წევრს 500-ლარიანი დახმარების მიღების უფლება აქვს 2015 წლის შემდგომ გარდაცვლილ ვეტერანზე, პირის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში", — ნათქვამია კანონში.

ნაცები წარღვნას ვერ გადაურჩებიან!

გასულ კვირას ქართულმა პოლიტიკურმა ისტერიამ რეკორდები მოხსნა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის პროვინციალიზმი (ამ სიტყვის უაღრესად ცუდი გაგებით), რომელიც კარგა ხანია, ქართული პოლიტიკური სივრცის პერმანენტული თანამგზავრი, ხშირ შემთხვევაში, განმსაზღვრელია.

საკითხი ისევ სამხრეთი ოსეთისა და საქართველოს საზღვარს და ოსთა მიერ ქართული მიწების მორიგ მიტაცებას ეხება. მავანი უდავოდ გამინაწყენდება სამხრეთი ოსეთის ხსენებისთვის, მაგრამ განაწყენება არაფერ შუაშია, როდესაც ოფიციალურ უცხოურ დოკუმენტებში სწორედ ასეა მოხსენიებული ერთ დროს საქართველოში შემავალი ავტონომია.

ახალი დავიდარაბის წყარო უპირველესად რუსი და ოსი სამართალდამცავები არიან, მაგრამ არანაკლები, ქართული მხარე – პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, არასამთავრობო სექტორი. პოლიტიკოსებიდან კი ნაცური ოპოზიცია და მისი ჯიბის ჟურნალისტიკა. საზღვრის აღმნიშვნელი დაფის დადგმა ასე არ უნდაო და ისეთი წყევლაკრულვა და საზღვრისპირა მჯიღისცემა ატყდა კულმინაციის წერტილში, გეგონებოდათ ეს-ესაა და ომი დაიწყებაო.

ცეცხლს ნავთი დაასხა რუსეთთან მომლაპარაკებელმა აბაშიძემ, რომელიც ეპიცენტრს ეწვია და „ცხელი წერტილიდან“ ბრძანა, რომ რუსეთის მხრიდან ეს ქმედება შეურაცხმყოფელია, აუტანელია და ამის შესახებ შიგ პირში ეტყვის ოპონენტ კარასინს, მორიგი შეხვედრის დროს. მან ისიც ივარაუდა, ცხადია, საჯაროდ, რომ ასეთ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს სერიოზული დაპირისპირება, რომელიც მთელს კავკასიას მოედება.

ვერ გეტყვით, მუდამ თავშეკავებული აბაშიძე ნაცთა მიერ იყო აცრილი იმ დღეს თუ ცუდი სიზმარი ნახა, რამაც სრულიად კავკასიის ლამპრის აგიზგიზების წინასწარმეტყველებას წაჰკრა ხელი. როგორც ჩანს, ავბედითი აგვისტოს მოახლოებამაც იმოქმედა საქართველოს პრემიერის სპეცწარმომადგენელზე.

დენთით გაჟღენთილი ვარაუდის გაჟღერებისას, ბატონ ზურაბს გაახსენდა უხვად დასმული დამადანაშაულებელი კითხვები და ამჯერად შეტევაზე გადასვლა ამჯობინა. ოპოზიციამ ერთი კი წამოიკნავლა – გაუქმდეს აბაშიძე-კარასინის ფორმატიო, მაგრამ თვით აბაშიძის მიმართ ცუდი არ დასცდენია. ამ თვალსაზრისით აბაშიძის ნაბიჯმა ნაყოფი გამოიღო, მაგრამ საქართველოს ბობოქრობამ, ისე, როგორც ყოველთვის – არაფერი. ან რა შედეგი უნდა მოეტანა არაკვალიფიციურ ჭიჭყინს, ფსევდო-პატრიოტულ განცხადებებს და სატელევიზიო გულისფხანას?

„ბობოქარი“ ნაცები საზღვარსაც ეცნენ და მინისტრ ზაქარეიშვილის სახლსაც. განსაკუთრებული ყელყელაობით სააკაშვილის სულიერი ძე ბარნოვი გამოირჩეოდა. სწორედ მას დაავალა ნაცურმა ელიტამ სასაზღვრო აყალმაყალის ატეხვა. და მანაც ჩვეული „წარმატებით“ გაართვა თავი ზემდგომთა დავალებას.

მაგრამ მარტო ბარნოვი იყო დავიდარაბის ამტეხი? არა! მას მხარს უმშვენებდნენ სხვა ნაცებიც რატიანის, ხაბაზის, მინაშვილის, ტუღუშის, შარაშენიძის, კვესიტაძის, სხვათა სახით – ზოგი პრესის ფურცლებზე, ზოგიც ელექტრონულ მედიაში, რამაც ერთი რიგითი ამბავი ჭიქაში დატრიალებულ ქარიშხალს დაამსგავსა.

აქაოდა, ცუდად არ ჩამითვალოს ნაცურმა მოძრაობამ დუმილიო და საგარეო უწყებამ რუსეთის ინტერესების დამცველი შვეიცარიის ელჩი სამინისტროში დაიბარა და რუსეთის მისამართით დაწერილი ნოტა გადასცა, სიტყვებით – გადაეცით რუსეთს, მთელი მსოფლიოს საზოგადოებას დავრაზმავთ მის წინააღმდეგ, თუ საზღვრის ხაზით თამაშს არ შეეშვებაო. შვეიცარიის ელჩმაც ივიშვიშა – ეს რა ჩაიდინა რუსეთმაო და დაგვპირდა, რომ ქვას-ქვაზე არ დატოვებდა.

უმალ ახმაურდნენ ჩვენი „პარტნიორი“ დასავლელები, ამერიკელები და ა.შ. „Euronews“-მაც პატარა სიუჟეტი გვიწყალობა და ... და დასრულდა „ესე ამბავი ქართული“.

დასრულდა ნაცთა სასარგებლოდ. მართალია, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი, მაგრამ წინასაარჩევნო კამპანია რომ დაიწყო, ფაქტია. რუსების მიერ წამოჭიმული სასაზღვრო დაფა ოსტატურად მოირგეს ნაცებმა – მიტინგიც მოაწყვეს, სატელევიზიო შოუებიც, ხალხიც აიყოლიეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ხელისუფლებაც. ამას გვიან მიხვდა ხელისუფლება და აკრძალა სასაზღვრო ზოლთან მისვლა, თუმცა, განკარგულება დაგვიანებული აღმოჩნდა. ნაცებმა წინასაარჩევნო კიდევ ერთი ქულა ჩაიწერეს და საქართველოს მოსახლეობას დაანახეს ხელისუფლების უსუსურობა.

ბევრი მიხვდა ნაცურ ვირეშმაკობას, მაგრამ ვინც ვერ მიხვდა? ეს უკანასკნელნი ხელისუფლებაზე ისედაც დაბოღმილნი, უფრო მეტად დაიბოღმნენ, რაც თავს მომავალი არჩევნების დროს იჩენს. ამ კატეგორიას ჯერაც სჯერა, რომ 2008 წელს ომი რუსეთმა დაიწყო. ხელისუფლება იმდენად შეშინებულია 2008 წლის მოვლენების სიმართლის გაგების, რომ არაფრით ეწინააღმდეგება ნაცთა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თავხედურ განცხადებას - ომი რუსეთმა დაიწყო!

ზემოთ აღვნიშნე მინისტრ ზაქარეიშვილის სახლთან მივარდნა, რაც მისმა განცხადებამ გამოიწვია. ის დაახლოებით ასე ჟღერდა – ამ საქმეში ახალი არაფერია, იქითა მხარე თავის დროზე გავლებულ ადმინისტრაციული საზღვრის ზოლს მიჰყვებაო, რაც მისაღებია.

თუ არ გვინდოდა ადმინისტრაციულის სახელმწიფო საზღვრად გადაქცევა, 2008 წლის აგვისტომდე უნდა გვეფიქრა და მოგვეგვარებინა ურთიერთობები სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან. ოფიციალურმა თბილისმა არათუ მოაგვარა, არამედ 2008 წლის ომით მთლად დაკარგა ავტონომიებიც და ტერიტორიებიც. ახალმა ხელისუფლებამ, ნაცვლად რუსეთთან დიალოგისა, ჩუმი კონფრონტაცია ამჯობინა, რაც კარგს არაფერს მოიტანს. **არ ყოფილიყო 2008 წლის ომი და არავითარი საზღვარი არ იქნებოდა.**

ნაცების გვარები ვახსენე. დღეს ორს გამოვყოფ: ტუღუში და შარაშენიძე. ერთი ყოფილი ომბუდსმენია, სააკაშვილის მთავრობის წევრი, მეორე – სააკაშვილის მეხოტბე ე.წ. პოლიტოლოგი. მათ შესახებ სხვა შემთხვევაში არაფერს ვიტყოდი, ვინაიდან ორივენი დაბალი განათლებისა არიან და მეხოტბეობის უბადლო ოსტატები და, რაც მთავარია, „დემოკრატიული“, დასავლური ფასეულობების მატარებლები. სასაზღვრო პერიპეტიებთან დაკავშირებით ორივემ საჯაროდ გამოთქვეს მოსაზრება, რომელიც მოწოდებას უფრო ჰგავს, ვიდრე რჩევას, თუმცა, ასეთი რჩევაც კი მიუღებელი უნდა იყოს ყოფილი ომბუდსმენისა და პოლიტოლოგისთვის.

შარაშენიძისგან ქარაფშუტულ აზროვნებას მისი მსგავსი ქარაფშუტა საზოგადოება შეჩვეულია, მაგრამ სხვებიც ხომ ისმენენ (შემთხვევით) მის ანტირუსულ „პატრიოტიზმს“? საზღვართან დაკავშირებით მან მოუწოდა საზოგადოებას სისტემატურად მოაწყოს სასაზღვრო ზოლთან მიტინგები, გამოსვლები, ღრიანცელი, რათა დისკომფორტი შეექმნათ რუს მესაზღვრეებს.

„დისკომფორტში“ ჩავარდნილი რუსი მესაზღვრე, რომლის ჭაჭანებაც არ არის ზოლის სიახლოეს, რას მოიმოქმედებს? პუტინს უდეპეშებს - შეევწუხდით და თუ კაცი ხარ, იქნებ საზღვარი აქეთ გადმოგეწიათო?

ადამიანის უფლებების ყოფილი დამცველი ტუღუში უფრო შორს წავიდა – რუსული ტელეარხების გადაცემები უნდა შეევწყვიტოთ საქართველოშიო. იგივე აზრისაა შარაშენიძეც და მათი „ნაციონალი“ ძმებიც და დებიც (კვესიტაძე, კინწურაშვილი, ჩერგოლეიშვილი და ა.შ.). რატომ უნდა აიკრძალოს რუსული გადაცემები? – ტუღუშების მიხედვით, რუსული პროპაგანდისთვის. და ამას ამბობს ყოფილი ომბუდსმენი. სიმართლის დამცველიც ამას ჰქვია.

„ისე გავაკეთოთ, როგორც უკრაინამ და ლიტვამ“, – ბრძანა ტუღუშმა. „ორივემ აკრძალა რუსული ტელეგადაცემები და ჩვენც მივბაძოთ მათო“. არადა, ფაშისტური უკრაინისა და მოჭარბებულად ნაციონალური ლიტვის მიბაძვა, რომ კარგს არაფერს მოიტანს – ფაქტია. გარდა ამისა, როდესაც ერთ ან რამდენიმე პირს სურს მსგავსის გაკეთება, ხომ არ ნიშნავს საკუთარი ნაცური იდეის ხალხის თავზე მოხვევას? ნიშნავს და მერე როგორ. მას უდავოდ მოჰყვება წიგნების დაწვა, კინოფილმების ჩვენების აღკვეთა, არასასურველი პირების სიების შედგენა, რომელთაც აეკრძალებათ ქვეყანაში შემოსვლა, ზუსტად ისე, როგორც უკრაინაში, ბალტიისპირეთში. საით მივდივართ?!

„საქართველოში მომრავლდა რუსული ფულით დაფინანსებული არასამთავრობოები და მედიაო და ამიტომაა, რომ მოსახლეობის 31% რუსეთის მიმართ დადებითად არის განწყობილიო“, – ამბობენ ტუღუშები. ნეტავ რომელი არასამთავრობო და მედია ჰყავთ მხედველობაში? პირადად მე ასეთს არ ვიცნობ. თუ რომელიმე გაზეთი ობიექტურად აშუქებს მსოფლიო მოვლენებს – ეს არ ნიშნავს რუსეთის ფულს. ან რა პროპაგანდაა საჭირო იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობამ დაინახოს ამერიკული მზაკვრობა მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში? ის, რაც უკრაინაში ხდება, საჭიროებს პროპაგანდას? სამთავრობო სადამსჯელო სამხედრო ნაწილები რომ სვასტიკებით დარბიან, წითელ ვარსკვლავებად უნდა აღვიქვათ?

...ათწლიანმა ჭურში ჯდომამ, რომელშიც „ნაცებმა“ საქართველო ამყოფა, მძიმე შედეგით დასრულდა – გაჩანაგდა ქვეყანა, დაიკარგა მიწები. ნაცები ხალხს მოუწოდებენ ისევ ჭურში ჩაძრომას, ისევ სიბნელეს, უცოდინრობას, ვინაიდან ასეთის მართვა იოლია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ ამ არამზადებს რუსული გადაცემის აკრძალვა დემოკრატიად მიაჩნიათ?

ავიღოთ ტელეკომპანია „RTVI“ და „დოჟდი“ („Дождь“), რადიო „ეხო მოსკვი“ („эхо Москвы“), ისინიც კი მოჭარბებული ანტირუსიზმითა და ანტიპუტინიზმით, ფალსიფიცირებულ მონაცემებზე დაყრდნობის მიუხედავად, არვის აუკრძალავს. და ეს მაშინ, როდესაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მოითხოვს მათ დახურვას.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ცნობილი ანტისამთავრობო მოღვაწე, მწერალი ედუარდ ლიმონოვი რომ ზემომოყვანილი მედია-საშუალებების პროდუქციას ფალსიფიკაციად შეაფასებს და ხელისუფლებას მოსთხოვს პასუხისმგებლობა გამოიჩინოს ანტირუსთა წინააღმდეგ, რაღაცას ნიშნავს. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთავრობას არავითარი შემზღუდავი ნაბიჯი არ გადაუდგამს. სად არის მეტი დემოკრატია, „დემოკრატიის შუქურა“ საქართველოში თუ რუსეთში?!

ჩვენდა სამწუხაროდ, სააკაშვილები, ტუღუშები, შარაშენიძეები, ხაბაზები, რატიანები ცოტანი არ არიან. ჩვენდა სამწუხაროდ, მათთვის ყველა მედიის კარი ღიაა. სააკაშვილის მიერ შექმნილი მედია-სივრცე – მხოლოდ მათზე და დასავლეთზე მომუშავე, მძლავრი საინფორმაციო იარაღია, რომელსაც ვერაფერს დააკლებს თითო-ოროლა ობიექტური გაზეთი და თუ ესოდენ უთანასწორო ჭიდილში უმრავლესობა ბეჭებზეა გართხმული, ნაციონალები უნდა მიხვდნენ, რომ პოლიტიკიდან წასვლის დროა, თუ არა – 31%-იან წარღვნას ვერ გადაურჩებიან!

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ კრამერი გვირჩევს

ქართველებს შეუძლიათ, მილსადენის ალტერნატიული მარშრუტი ჩუმად ეძებონ, მაგრამ ამაზე ხმამაღალი განცხადებები არ აკეთონ

რუსები გამუდმებით დგამენ მსგავს ნაბიჯებს და იმის შესამოწმებლად, თუ სადამდე შეუძლიათ მიუღებელი ზღვრის გადაწევა, – ამის შესახებ მაკკეინის ინსტიტუტის უფროსმა დირექტორმა ადამიანის უფლებების სფეროში დევიდ კრემერმა „ამერიკის ხმის“ ქართულ ბიუროსთან საუბრისას, საოკუპაციო ხაზთან განვითარებული მოვლენების შეფასებისას განაცხადა.

„ამ შემთხვევაში მათ ბაქო-სუფსის მილსადენი საოკუპაციო ხაზის საკუთარ მხარეს მოაქციეს, რაც მათ მოქმედებას კიდევ უფრო ამძიმებს. საქართველომ და საერთაშორისო თანამეგობრობამ ეს ნაბიჯი არ უნდა აღიარონ და გამუდმებით უნდა მოითხოვონ საზღვრის შეთანხმებულ ხაზზე გადატანა“, – განაცხადა კრემერმა.

მას მიაჩნია, რომ საქართველოს საზღვრით მანიპულირების საკითხს გავლენა მთელს რეგიონზე აქვს. მისი თქმით, ამ ნაბიჯით კრემლმა ევროპას, უკრაინას, მოლდოვას ის დაანახა, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია იმის გაკეთება, რასაც მოისურვებს. ამასთან, კრემერი ყურადღებას ამახვილებს იმ მოვლენებზე, რომლებიც მსოფლიოში საქართველოში ე.წ. საზღვრის დემარკაციის პარალელურად მიმდინარეობდა – საერთაშორისო თანამეგობრობა საბერძნეთის ფინანსურ კრიზისზე და ირანთან ბირთვულ მოლაპარაკებაზე იყო კონცენტრირებული.

„ეს ჩვენთვის განგაშის ზარი უნდა იყოს და ის შეგვახსენოს, რომ ეს კონფლიქტი დასრულებასთან ახლოსაც კი არაა. რუსები მიგვანიშნებენ, რომ კონფლიქტი არც გაყინულია. ჩვენ უფრო მკაცრი პოზიცია უნდა შევიმუშაოთ და ვუთხრათ რუსებს, რომ ეს ნაბიჯები აბსოლუტურად მიუღებელია და მოვითხოვოთ საზღვრის უკან გადატანა ისე, რომ მილსადენი საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნდეს“, – აცხადებს კრემერი.

ბაქო-სუფსა მილსადენისთვის ალტერნატიული მარშრუტის მონახვაზე კი კრემერი ამბობს, რომ საქართველომ ეს გადაწყვეტილება ნაადრევად არ უნდა მიღოს და ნავთობის გადამისამართებით მცდარი გზავნილი არ უნდა გაავრცელოს.

◎ ქვეყნის ღირსების თაობაზე

სამოცდაათ წელს გადაცილებულთა მოსაზრება

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ხმა ამოიღეთ, საქართველოც სახელმწიფოა"!
გაზეთი „ლელო", 2 ივნისი 2015 წ.№105
„რატომღაც არც ერთი თანამდებობის პირი არ ახსენებს გენერალ ხრულიოვის ახალ ფუნქციას აფხაზეთში"
(გაზეთი „კვირის პალიტრა", 1-7 ივნისი, 2015 წ.№22)

ორივე ამონარიდი აფხაზეთთან არის დაკავშირებული. ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას ეხება. რასაკვირველია, ძალზე მნიშვნელოვანი თემაა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხმას არ ვიღებთ მაშინაც კი, როცა ჩვენი ღირსება ილახება, რაც, ბუნებრივია, ვერ მატებს ქვეყანას ავტორიტეტს, მათ შორის, არ უწყობს ხელს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მცდელობას. ამ დღეებში, ამერიკის შეერთებული შტატების პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის რიგი მაღალჩინოსნების მიმართ. ერთი წუთითაც კი ძნელია იმის წარმოდგენა, რომ რომელიმე მათგანი სხვა სახელმწიფოს სტრუქტურაში აღმოჩნდეს დასაქმებული. ეგ კი არა და ამის გაფიქრებაც კი შეუძლებელია.

საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის ბრალდებით პასუხისგებაში მიცემული მოქალაქე კი, ვითომც არაფერი ისე საქმდება მეზობელ სახელმწიფოში (როგორც იტყვიან, „კოლმეურნეობის თავმჯდომარის" გვარს არ ვასახელებთ).

ზოგი, ალბათ, თუ არ იტყვის, გაიფიქრებს მაინც – ის ხომ შეერთებული შტატებია და არა საქართველო. მაგრამ საქართველოც ხომ სახელმწიფოა!

სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩაყოფის, არდანახვის პოზიცია დაუშვებელია, საქართველოს იმიჯის შემლახავია.

დიახაც რომ საჭიროა ხმის ამოღება, განსაკუთრებული დიპლომატიური დემარში.

– საქართველოს ელჩის უკრაინაში დროებითი გამოწვევა კონსულტაციისათვის;

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში უკრაინის ელჩის გამოძახება და საპროტესტო ნოტის გადაცემა ვითარების განმარტების მოთხოვნით (როგორც იტყვიან, „მოყვარეს პირში უძრახეო"). შეიძლება ვინმემ ჩათვალოს ეს მიუღებლად, რათა არ შეფერხდეს ჩვენი ურყევი კურსი ევროპისკენ. პირიქით, ევროპისკენ ჩვენი მისწრაფება სწორედ იმით არის განპირობებული, რომ გვინდა მუდმივად ვგრძნობდეთ თავს თანაბარუფლებიან, ღირსებით გამსჭვალულ წევრად.

საქართველოც სახელმწიფოა!

თამაზ გაგუა, ზაალ გენძეხაძე, ჯემალ კუხალაშვილი, ზაურ მესხიშვილი, გორის სარალიძე, ზაურ ჩიტიძე.

◎ „გალაკტიონი დაბადებიდან დაბადებამდე"

სიცოცხლე სამუზეუმო სივრცეში

მარჯანიშვილის ქუჩა №4. აქ ქართული პოეზიის მეფე ცხოვრობდა, დღეს კი **გალაკტიონის** მემორიალური ბინა-მუზეუმია. მუზეუმი ბევრს მხოლოდ მემორიალური ნივთებისა და საარქივო დოკუმენტების საცავი ჰგონია. **ნატო გაბისონია,** ხსენებული მუზეუმის დირექტორი, საბედნიეროდ, ასე არ ფიქრობს. მისთვის მუზეუმი ცოცხალი კონტაქტების, საინტერესო შეხვედრებისა და თეატრალიზებულ სანახაობათა ასპარეზიცაა.

ამიტომაც გამოცოცხლდა მისი ხელმძღვანელობით ეს სამუზეუმო სივრცე, ამიტომაც დაიწყეს მასთან ურთიერთობა ცნობილმა თუ პატარა მსახიობებმა.

ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია „გალაკტიონი – დაბადებიდან დაბადებამდე" (**ნოდარ ტაბიძის** წიგნის მიხედვით), რომელიც აქ ამას წინათ ბავშვთა თეატრის **„მეორე სახლი – 2"**-ის მსახიობებმა წარმოადგინეს. გალაკტიონის ცხოვრების გზაზე არტისტული მომხიბვლელობით გვიამბობდნენ **თათია** და **ლუკა გაბიძაშვილები, დავით ბერიძე** და **თეკლა ჭუმბურიძე**.

საღამოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ პატარა მსახიობებს მხარს უმშვენებდნენ ნამდვილი პროფესიონალები – **თინათინ ელბაქიძე** და **რუსუდან ბოლქვაძე**.

სექტემბრიდან სახლ-მუზეუმი კვლავაც ბევრ საინტერესო შეხვედრას გვპირდება...

ბეჟა წულუკიძე

◎ კაკალ გულში

ნეჩაღოვანი ოჩაზები

● **ოლიმპიური სოფელი, რომელიც თბილისის ზღვაზე გაიხსნა, გიგი უგულავამ ააშენაო, – სევდიანად თქვა სევდია უგრეხელიძემ.**

● **ოლიმპიური ცეცხლი ხეჩიკაშვილმა სახლში წაიღო?**

● **პოლიტიკაში იმდენი ნაგავია, დენს რომ აბამ, ტარიფი მაგრად ძვირდება!!!**

● **კანონში „სახელმწიფო ენის შესახებ" „კეთილისმსურველთა" რჩევები გაუთვალისწინებიათ და ასეთი ცვლილებები შეუტანიათ, მაგალითად:**

● **ზოგიერთ კომპაქტურად ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, დაუშვეს მიმოწერა და საქმისწარმოება არასახელმწიფო ენაზე, შემდგომში დედნის ქართულად თარგმანის უზრუნველყოფით.**

● **ასევე დაუშვეს საჯარო ინფორმირებისთვის განკუთვნილი განცხადებების, შეტყობინებების, სასათაურო წარწერების, პლაკატების, აბრების, აფიშების, რეკლამებისა და სხვა ვიზუალური ინფორმაციის ადგილობრივ ენებზე განთავსება. საინტერესოა ჩვენს მეზობელ რომელ სახელმწიფოში მოქმედებს მსგავსი კანონი?**

ასეთი ენის კანონი აჯობებდა, სულაც არ მიეღოთ, ეს ხომ პრინციპში ქვეყნის დეზინტეგრაციისა და სეპარატიზმის ხელშეწყობაა.

ნიშანდობლივია რომ ამ ცვლილებებს ითხოვდა და ლობირებდა „ფრაქცია რესპუბლიკელები – ქართული ოცნება" და ამას ასაბუთებდა მოსალოდნელი მღელვარებით ამ კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში.

ჩემი აზრით საქართველოს პარლამენტში არსებული ეს ტოქსიკური ჯგუფი ქვეყნის საზიანოდ მოქმედებს, ეს ძალები სხვა ქვეყნების გარე დაზვერვის რეზიდენტები არიან და მათი დაფინანსებით მოქმედებენ!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ოდესიდან ამგები მოდის...

ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთი დახურული პლაჟის გახსნა მოითხოვა და მოგვიანებით მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მილიარდერის, ყოფილი დეპუტატის ხმელნიცკის დაკითხვაზე დაბარება „ბრძანა"

სააკაშვილს თან ოდესის პოლიციის უფროსი გია ლორთქიფანიძე ახლდა. ტერიტორიის შესასვლელში მას დარაჯი დახვდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ღამით, უსაფრთხოების გამო, საჭიროა პლაჟის დახურვა.

დარაჯი – დავაყენებთ იქ ჭიშკარს, ღია იქნება სულ, ოღონდ ღამით...

მიხეილ სააკაშვილი – ღამით გადაკეტავთ? ვინ გითხრათ, რომ ღამით უნდა გადაკეტოთ? თქვენ აგრძელებთ და დამცინით?

დარაჯი – მე არ დაგცინით, აქ ადამიანი მოკლეს...

მიხეილ სააკაშვილი – პირველ რიგში ამ ადამიანისგან უნდა ავიღოთ ჩვენებები. ვიცი, სადაც მოკლეს აქ ადამიანი, უსაფრთხოება არც თქვენი და არც თქვენი მილიარდერის საქმეა. მილიარდერის უსაფრთხოება სულ არ მაინტერესებს. რას მეუბნებით, რომ გადაიკეტება ღამით და ძაღლების პატრულირება იქნება?

აიღეთ ამისგან ჩვენებები, რომ ამის თვალწინ შეიძლება მოკლან ადამიანი. მისი პატრონი კი დაკითხვაზე დაიბარეთ, თუნდაც ვერტმფრენით მოვიდეს. ეს კედლები მოიხსნება, ამ ძაღლებს გაიყვანთ, ან ჩააბარებთ ძაღლთა თავშესაფარში და ადამიანები, ვინც ეს შუშები დაყარა, ციხეში მოხვდებიან!

აღსანიშნავია, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა დახურული პლაჟების გახსნა მოითხოვა.

ინტერნეტიდან



◎ ალიან-ჩალიანი

იწყება თბილისის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები

დედაქალაქის მასშტაბით 50-მდე ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება, — ამის შესახებ გუშინ დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ბრიფინგზე განაცხადა.

დავით ნარმანიას თქმით, საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური შეკეთების მიზნით 18 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი უკვე დასრულებულია, 13 ქუჩის რეაბილიტაცია მომდევნო კვირაში დაიწყება, დანარჩენი ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები კი ეტაპობრივად. ნარმანიას განცხადებით, ჩატარებული ტენდერების მიხედვით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გზების კაპიტალურ შეკეთებას კომპანია „ბლექ სი გრუპი“ აწარმოებს და სამუშაოების ღირებულება 6 მილიონ ლარს შეადგენს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქუჩების კაპიტალურ შეკეთებას კი, ტენდერში გამარჯვებული კომპანია „არენამშენი“, რომლის სამუშაოების ღირებულება 5 500 000 ლარია.

ბრიფინგზე ასევე ითქვა, რომ უახლოეს 5 დღეში საგზაო სამუშაოები დაიწყება თბილისიდან კოჯრის მიმართულებით გზაზე, ასევე დაგეგმილია კოჯრის ცენტრალური მოედნის კაპიტალურად შეკეთება. დავით ნარმანიას განცხადებით, ამ დროისთვის დედაქალაქის მასშტაბით საგზაო სამუშაოები 11 ქუჩაზე მიმდინარეობს. ნარმანიას ინფორმაციით, აგვისტო-სექტემბერში ქუჩების რეაბილიტაციის ინტენსიური სამუშაოების შემდეგ, ქალაქში გზების შეკეთების სამუშაოები დასრულდება. საგზაო-ინფრასტრუქტურული სამუშაოები ძირითადად ღამის საათებში განხორციელდება და საპატრულო პოლიცია უზრუნველყოფს, რათა მძღოლებს არ შეიქმნათ საგზაო პრობლემები.

საერთაშორისო ტურისტული სააგენტო „08 თრეველი“ შეიქმნა

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან იტყობინებიან, სააგენტოს ოფიციალურ გახსნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე და თბილისის ვიცე-მერი დიმიტრი ქუმსიშვილი დაესწრნენ.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვაძის განცხადებით, იმ ფონზე როდესაც საქართველოში ტურისტების რაოდენობა იზრდება, მნიშვნელოვანია ახალი ტურისტული კომპანიის გახსნა. გიორგი ჩოგოვაძე იმედს გამოთქვამს, რომ ახალი კომპანია საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის გაზრდაში საკუთარ წვლილს შეიტანს. ტურისტული სააგენტო „08 თრეველი“ გამყვანი და შემომყვანი ტურების მიმართულებით იმუშავებს. სააგენტო ტურებს მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით დაგეგმავს.

რომაული მოზაიკა გონიოს ციხეში

სამი კვირის მუშაობის შედეგად, გონიოში მნიშვნელოვანი აღმოჩენა დაფიქსირდა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, გიონიოს ციხეში ერთ-ერთი კონსტრუქციის იატაკზე, რომლის სავარაუდო ფართობი 100 კვ.მ. უნდა იყოს, გეომეტრიული მოტივებით შესრულებული მოზაიკა აღმოჩნდა. სამინისტროს ინფორმაციით, ეს არის რომაელი სამხედროების მიერ თავიანთი საჭიროებისათვის შესრულებული მაღალი დონის მოზაიკური მხატვრობა, რაც იშვიათობაა. ამ პერიოდით დათარიღებული (ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი) მსგავსი ტიპის არქეოლოგიური აღმოჩენა აჭარისთვის პირველია. საქართველოს სხვა მხარეებში მსგავსი ნიმუშები ძალზედ ცოტაა და, როგორც წესი, ადგილობრივი ელიტისთვისაა განკუთვნილი. სავარაუდოდ, ეს აბანო ვესპასიანეს მმართველობის (69-79 წწ) დროსაა აგებული“, — აცხადებენ სამინისტროში.

გიონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში გრძელდება რომაული ეპოქის ყაზარმის ნაშთების შესწავლა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით, გონიოს ციხეში 27 ივნისიდან მიმდინარეობს ქართულ-პოლონური ერთობლივი ექსპედიციის მეორე სეზონი. თანამშრომლობა ჯერ კიდევ 2002 წლიდან დაიწყო, როდესაც პოლონურმა მხარემ ჩაატარა გეოდეზიური და გეოფიზიკური სამუშაოები. არჩეული იქნა ყველაზე პერსპექტიული უბანი, სადაც 2014 წელს ძველი აბანოს ნაშთები დაფიქსირდა.

შეხვედრა ქალაქ პიარნუში

საქართველოს ელჩი ესტონეთის რესპუბლიკაში თეა ახვლედიანი სამუშაო ვიზიტით ესტონეთის ქალაქ პიარნუს ეწვია. ელჩმა შეხვედრა გამართა ქალაქის მერთან რომეკ კოსენკრანიუსთან. უწყების ცნობით, მხარეებმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრის ფარგლებში, ელჩმა ესტონურ მხარეს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ მდგომარეობაზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. საუბარი ასევე შეეხო ქალაქ პიარნუს საქართველოს ერთ-ერთ ქალაქთან დაძმობილების შესაძლებლობას.

ამავე დღეს, ქ. პიარნუში კლასიკური მუსიკის ფესტივალი „იარვის აკადემია 2015“-ის დახურვის ცერემონია გაიმართა, რომელიც ქართველი პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის კონცერტით დასრულდა. კონცერტის შემდეგ ფესტივალის ორგანიზატორებისა და საელჩოს ძალისხმევით მიღება გაიმართა, რომელსაც ესტონეთის კულტურის წრეების, სახელმწიფო უწყებებისა და ესტონეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ინტერპრესი

◎ ტურიზმი

სტრატეგიულად გააზრებული გზით

ტურისტთა ნაკადი და ტურისტული ინფრასტრუქტურა იზრდება და ძლიერდება

იმის მიუხედავად, რომ წლეულს ზამთრის ტურისტული სეზონი საქართველოში საკმაოდ მორიდებულად, ასე ვთქვათ, „მოგუდულ ხმაზე“ დაიწყო, წლის პირველი ნახევარი, ამ თვალსაზრისით, მაინც წარმატებულად წარიმართა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, ივნისში ქვეყანას დაახლოებით 497 ათასი ვიზიტიორი ეწვია, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 9,3 პროცენტით აჭარბებს. წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტიორთა რიცხოვნობამ იანვარ-ივნისში 2,323 მილიონი კაცი შეადგინა, რაც 2014 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 3,5 პროცენტით მეტია.

საიმისოდ, რომ ეროვნული ეკონომიკისთვის ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე გარკეული წარმოდგენა შეგექმნათ, პატივცემულო მკითხველო, აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემებით, შარშან ამ სფეროდან მიღებულმა შემოსავალმა მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტი (1,079 მილიარდი დოლარი) შეადგინა. უდავოდ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ყოველივე მეცხრე სამუშაო ადგილი სწორედ ტურიზმის სფეროშია შექმნილი.

ისევე, როგორც წინა წლებში, ყველაზე მეტი ტურისტი ივნისში უახლოესი სამეზობლოდან, კერძოდ **რუსეთიდან, სომხეთიდან** და **აზერბაიჯანიდან** გვეწვია, რომლებზეც მათი მთელი რიცხოვნობის ლომის წილი — 86 პროცენტი მოდის. 56 პროცენტით იმატა ტურისტთა ნაკადმა **ბელარუსიდან,** 40 პროცენტით — **ყაზახეთიდან,** 26 პროცენტით — **ისრაელიდან**. ხოლო, რაც შეეხება წლის განვლილ პერიოდს, ამ მხრივ ყველაზე მეტად მოიმატა ვიზიტორთა რიცხვმა **ბელარუსიდან** (47 პროცენტით), **ყაზახეთიდან** (32 პროცენტი) და **ლიტვიდან** (27 პროცენტით). საგრძნობია ასევე სტუმრების ნაკადის მომძლავრება **გაერთიანებული სამეფოდან, გერმანიიდან** და **ამერიკის შეერთებული შტატებიდან.**

საერთაშორისო ვიზიტიორების მოზიდვის თაობაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ შარშან ქვეყანას მთლიანად 5,5 მილიონზე მეტი კაცი ესტუმრა რაც წინა წლის მაჩვენებელზე 15 პროცენტით მეტია, წლეულს კი, მათი ვარაუდით, ეს რიცხვი 7,8 მილიონ კაცს მიაღწევს.

წლების მანძილზე, საქართველოში ამჟამად ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტულად აღიარებული ტურისტული დარგის განვითარება ერთგვარად თვითდინებაზე იყო მიშვებული, თუმცა, ბოლო დროს ამ მხრივ საგრძნობი ცვლილებებია. კერძოდ, შარშან საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს, როგორც ზამთრისა თუ ზაფხულის ტურიზმისა და დასვენებისთვის მიმზიდველი ქვეყნის რეკლამაზე 4,4 მილიონი ლარი დაიხარჯა, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, საკმაოდ სოლიდური თანხაა. ამასთან, როგორც ცნობილია, **წლეულს საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიაც შემუშავდება, რომელშიც დარგში ყველა ცვლილება ერთიანად იქნება გააზრებული.** ამ მიზნით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია „სოლიმარ ინტერნეშენლსა“ და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობს. საბოლოო სახით ჩამოსაყალიბებელი საქართველოს ტურისტული განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზნებია, კერძოდ: **ეროვნული ეკონომიკის შესაბამისი სეგმენტების განვითარება, ტურისტული სფეროს გაფართოება, დარგში ინვესტიციების აქტიურად მოზიდვა და შიდა ტურიზმის სექტორის გააქტიურება**. ყოველივე ამის მისაღწევად, ბუნებრივია, საჭიროა, უწინარესად, **სათანადო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად განვითარებისა და სათანადო განათლების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.**

მომავალი სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელი იქნება სამიზნე ქვეყნებში, მათი სამოგზაურო კალათის სპეციფიკებიდან გამომდინარე, ინტერნეტით, ტელევიზიითა და მასმედიის სხვა საშუალებებით საქართველოს ტურისტული მიმზიდველობის რეკლამირება.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ტურიზმი ქვეყანაში ვალუტის შემოდინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის განსავითარებლად აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის ქონა. ამ თვალსაზრისით, ცხადია, აუცილებელია ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის, სასტუმრო ბიზნესის განვითარება-გაფართოება. აღსანიშნავია ერთი მეტად სასიხარულო გარემოება: წლიდან წლამდე ჩვენში დიდი თუ პატარა სასტუმროების, ასევე საოჯახო ტიპის პანსიონატების რიცხოვნობა იზრდება, თუმცა კი, მთავარი დატვირთვა მაინც მაღალი კლასის დიდ ოტელებზე მოდის. წლეულს საქართველოში უკვე გაიხსნა სამი ასეთი სასტუმრო — „რიქსოს ბორჯომი“, „ჰილტონი“ და „მერკური“. წლის დამლევამდე და მომდევნო ორი წლის მანძილზე ჩვენში კიდევ 19 დიდი სასტუმრო ჩადგება მწყობრში, მათ შორის თბილისში — „ჰილტონ გარდენ ინი“, „რედისონ პარკი“, „მილენიუმი“, „რიქსოს თბილისი“, „ჰუალინგი“, „ჰეიეტ რეჯენსი“, „მოქსი მერიოტი“, „ინტერკონტინენტალი“, „კემპინსკი“, ბათუმში — „ქროუნ პლაზა“, „ბაბილონ თაუერი“, „ქიუბ თაუერი“, „პრინცესა“, „მარინა კოლიზეუმი“, ციხისძირში — „კოსტელო მარე“, ჩაქვში — „ოაზისი“, წინანდალში — „რედისონ ბლუ რესორტი“, გუდაურში — „შერატონი“ და ბორჯომში — „ქროუნ პლაზა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ზამთრის კურორტების განვითარების სტრატეგიული გეგმის განხორციელებას განაგრძობს, რაც ამ პეროიდში ტურისტების ნაკადის მომძლავრებას შეუწყობს ხელს. კერძოდ, გუდაურსა და ბაკურიანში 2015-2017 წლებში ხელოვნური გათოვლიანების მეორე ფაზა დაიწყება, მოეწყობა წყლის ხელოვნური რეზერვუარები, საბაგირო გზები და ევროპული სტანდარტის ველოპარკი.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ჯანდაცვა

თუ გინდა დიდხანს იცოცხლო – ნუ იავადმყოფებ...

საყოველთაო** სამედიცინო დაზღვევის პროგრამის ეტაპობრივი ამოქმედება, ქართული ოცნების კოალიციის ხელისუფლების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა, რაც არაერთგზის აღგვინიშნავს. ამასთან, ბევრჯერ ხარვეზებზეც გვქონია ლაპარაკი, რომელიც საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროშია და ეს, უწინარესად, იმაში გამოიხატება, რომ ამ მხრივ მთავრობის ჯანდაცვის პოლიტიკა არა სნეულებათა პრევენციაზე, არამედ, უმთავრესად, მათ შემდგომ მკურნალობაზეა მიმართული, რაც, სხვადასხვა სტადიაში ავადმყოფობათა მკურნალობის თვალსაზრისით, უაღრესად დაბალეფექტიანია. თანაც, ასეთი პაციენტი ცხადია, გაცილებით მეტად საჭიროებს ძლიერმოქმედი სამედიცინო საშუალებების მოხმარებას. მედიკამენტები და სამედიცინო სერვისები კი, მოსახლეობის საერთო ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ჩვენში მანამდეც ძალიან მაღალი იყო, ხოლო ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელების ფონზე და ლარის გაუფასურების პირობებში, მდგომარეობა გარკვეულწილად კიდევ უფრო გამძაფრდა, ბევრი წამლის ფასმა, მათ შორის, პირველადი მოხმარებისა, მოიმატა, თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით არაკატასტროფულად.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკა სარკისებური ანარეკლია საქართველოში მოსახლეობის ჯანდაცვის შიდა სტრუქტურული ხარჯებისა, რომელთა უმეტესი ნაწილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მედიკამენტებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, შემდგომ დაავადებათა პრევენციაზე და ბოლოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვის ხელშეწყობაზე მოდის. „იქ“ კი, საითაც ასე ვისწრაფვით, ყველაფერი პირიქითაა, საბოლოო შედეგიც, ცხადია, შესაბამისი, რასაც მოსახლეობის ჯანმრთელობის მაღალი ხარისხი და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლები მოწმობს.

ბოლო 25 წლის მანძილზე, საქართველოში სამედიცინო სფეროს რეფორმირების პერმანენტური პროცესი, ფაქტობრივად, უწყვეტად მიმდინარეობს. თუმცა კი, როგორც რეალობა მოწმობს, ქვეყანაში ჯანდაცვის სექტორში ცვლილებები არასწორი მიმართულებით მიმდინარეობს, თორემ არსებით განვითარებაზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა.

საქართველოში მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემის მოშლას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, პერმანენტული რეფორმებია, ჯანდაცვის ობიექტების უთავბოლო გასხვისება, მედიკამენტების იმპორტიორთა ვითომ „წახალისება“, სინამდვილეში ფარმაცევტული სფეროს ხელისუფლების სასარგებლოდ „წველა“, და ა.შ. შედეგად, ჯანდაცვა დღესდღეობით, არსებითად, **არა მოსახლეობის ფიზიკური ჯანმრთელობის უზრუნველმყოფი სამედიცინო დარგების ერთობლიობაა, რომელიც საწყისიდან დაწყებული ყველა დანარჩენ საჭირო ეტაპს მოიცავს, არამედ გაურკვეველი წარმომავლობის ბიზნესად იქცა, როგორიც, ვთქვათ, მეორადი მოხმარების ტანსაცმლით ვაჭრობაა.** ცხადია, სამედიცინო დარგის სხვადასხვა მიმართულებაში ახალი ტექნოლოგიები ინერგება, ახალი სამკურნალო პრეპარატებიც საკმაო ოდენობით შემოდის და ადგილობრივი ფარმაცევტული მრეწველობა მათ ანალოგებს უშვებს, ექიმებიც დროდადრო ამა თუ იმ სპეციალობით სასწავლო სემინარებს გადიან, რაც მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად დიდად მნიშვნელოვანია, მაგრამ მთლიანობაში სისტემა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს მაინც არ შეესაბამება.

ყველანი კარგად ვხედავთ და პრაქტიკულად ვგრძნობთ, რომ სამედიცინო მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობის პრობლემა ბოლო წლებში საქართველოში გადაიჭრა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ ავადმყოფებს ახლა სამედიცინო დაწესებულებებზე ხელი მიუწვდებათ, მეორეც ის, რომ თავად სამედიცინო მომსახურების გამწევ დაწესებულებებს ბრუნვა გაეზარდათ და იმის შიშიც მოეხსნათ, რომ გაწეული სერვისი აუნაზღაურებელი დარჩებოდა. არადა, ცხადია, რომ დიდი ხნის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტი ამ ტვირთის გაძლებას ვერ შეძლებს. ამდენად, ტვირთის შესამცირებელი ზომებისთვის მიმართვა ამთავითვეა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ, შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის მოსაძებნად, საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფ „გლობალ ალიანსს“ შორის, გრძელვადიანი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიზანს ჯანდაცვის სისტემის მართვის ინოვაციური პროგრამის შემუშავება, ქვეყანაში ამჟამად მოქმედი სტანდარტების ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, აგრეთვე გარანტირებული ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ჩამოთვლილ პრობლემათა გადაჭრის გზების შესახებ თავიანთი მოსაზრებები „გლობალ ალიანსის“ ექსპერტებმა საქართველოს ჯანდაცვის სფეროს არსებითი რეორგანიზაციის თაობაზე წლის დამლევისთვის უნდა წარადგინონ.

რაც შეეხება მიმდინარე ვითარებას, ამჯერად ყველაზე მძაფრად დგას სამედიცინო მომსახურებისთვის გამოყოფილი სახსრების მაქსიმალურად ეფექტიანად ხარჯვის საკითხი, რაც ბიუჯეტში შეტანილმა კორექტირებამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ცხადია, საქართველოს ბიუჯეტს საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი ფორმირებისას დიდწილად გათვალისწინებულია გრანტებით, სესხითა და კრედიტებით მიღებული შემოსავალი. ამ ტიპის პროგრამებით მოსახლეობის უზრუნველყოფა ეკონომიკურად ისეთ მძლავრ სახელმწიფოებსაც უჭირთ, როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო, სადაც, საქართველოსგან განსხვავებით, ჯანდაცვის გამართული სისტემებია შექმნილი. ჩვენი ჯანდაცვის სექტორის აქილევსის ქუსლია სამედიცინო მომსახურებესა და მედიკამენტებზე ფასწარმოქმნის სრული გაუმჭვირვალობა – **თუ რატომ ღირს ეს ოპერაცია ამდენი და ეს წამალი – ამდენი, მომხმარებელმა კი არა, ბევრ შემთხვევაში გამოცდილმა ექიმმაც არ იცის.** ამდენად, ყველაფერი ეს შესაბამის საკანონმდებლო დონეზეა დასადგენი, თორემ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ქმედუუნარო რომაა, ეს უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომლის საკვანძო მოთხოვნათა დღის წესრიგში მწვავედ დაყენებას საშველი არა და არ დაადგა. თანაც **შესამუშავებელია ერთიანად სამედიცინო ბაზრის რეგულირების მექანიზმები, საჭიროა ყველა სეგმენტში ფასწარმოქმნის გამჭვირვალობა და დადგენილ ფასებზე უმკაცრესი კონტროლი.** საამისოდ კი, ტყუილად დროისა და ფულის ხარჯვას, ჯობს, ისევ უცხოეთის საუკეთესო გამოცდილების გადმოღება. თუმცა კი, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯანდაცვის სამინისტროს არც სამედიცინო მომსახურებებზე, არც, მით უმეტეს, მედიკამენტების ფასებზე და სადაზღვევო კომპანიების მოღვაწეობაზე ზემოქმედების არანაირი საკანონმდებლო ბერკეტი არ გააჩნია – ერთადერთი რისი გაკეთება მანამდე რეალურადაა შესაძლებელი, რაღაც სერვისებსა და მედიკამენტებზე ფასების ზრდის ზღვრის დაწესებაა, რაც საკმაოდ რთული საქმეცაა და გრძელვადიან პერსპექტივაში საკმაოდ არაეფექტიანიც.

მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემაში, როგორც აღვნიშნეთ, უამრავი „ლაქაა“ – საავადმყოფოების რესტორნებად გადაკეთება, გაუთავებელი ცვლილებები და არაკომპეტენტურობა, თუმცა კი ცალკე თემებია მედიკამენტებზე „მაფიოზურად“ გაბერილი ფასები და, ამ ოდიოზურ ფონზე, სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ SOS!

წყალი წელიწადში ერთხელ იცვლება

იცავენ თუ არა თბილისის აუზები ჰიგიენურ და სანიტარიულ ნორმებს?

საქართველოში **არსებული ღია და დახურული საცურაო აუზების ჰიგიენური და სანიტარიული ნორმების შემმოწმებელი სახელმწიფო ორგანო არ არსებობს. 2005 წელს ქვეყანაში სანიტარიული კოდექსი გაუქმდა, რის შედეგადაც, ის 2007 წელს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონმა ჩაანაცვლა.**

Ambebi.ge დაინტერესდა, არის თუ არა დაცული სანიტარიული ნორმები თბილისის საცურაო აუზებში და ვინ აკონტროლებს ამ პროცესს?

როგორც ვაკის საცურაო აუზის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ისინი თავად დადგენილი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ და ჰიგიენური და სანიტარიული ნორმების დაცვას, საკუთარი ხარჯებით, მაქსიმალურად ცდილობენ. ვაკის საცურაო აუზის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ წყალი სამმაგ ფილტრაციას გადის. ქიმიური დამუშავების შემდეგ წყალი კვარცის ქვიშაში და ულტრაიისფერ სხივებში ტარდება.

„იმის მიუხედავად, რომ არავინ გვავალდებულებს, ჩვენ გვყავს ქიმიკოსი, რომელიც იღებს წყლის ანალიზებს. ასევე გვყავს დაქირავებული დამოუკიდებელი კომპანია, რომელიც როგორც წყლის, ასევე საშხაპეებიდან და გასახდელებიდან იღებს ჩამონარეცხს და მერე ამოწმებს. წყალი იმდენად კარგად იფილტრება, რომ მას წელიწადში ერთხელ ცვლიან. ყოველდღიურად სამმილიონ-ნახევარი ლიტრი წყალი ფილტრაციას 6-დან 8 საათამდე ანდომებს“, – განაცხადა ვაკის საცურაო აუზის მთავარმა ინჟინერმა სერგო სისოევმა.

სანიტარიული ნორმების დაცვა საკუთარ თავზე აქვთ აღებული „Sport Time“-შიც.

„იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო დონეზე საცურაო აუზის შემმოწმებელი ორგანო არ არსებობს, ჩვენთან ყველა ვიზიტიორი დაცულია, ამ ყველაფერს თავად ვაწესრიგებთ. წყალი გადის 24-საათიან ფილტრაციას. გერმანული ხსნარებით ხდება როგორც წყლის, ასევე აუზის ტერიტორიის დასუფთავება. სამედიცინო შემოწმების გარეშე, აუზზე არ გადის არც ერთი ადამიანი. დაავადებული ადამიანის წყალში შესვლა აკრძალულია“, – განუცხადა Ambebi.ge-ს „Sport Time“-ის პიარ მენეჯერმა მარი ხანიკაევმა.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს, მარინა ბაიდაურის თქმით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონით ნაწილობრივ მოხერხდა სანიტარიული კოდექსით განსაზღვრული კომპეტენციების გადანაწილება სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს შორის. თუმცა, ჯერ კიდევ დარჩა მთელი რიგი სფეროები, რომლის ზედამხედველობის განმახორციელებელი უწყებაც არ განისაზღვრა.

სწორედ მათ შორის არის აუზებში სანიტარიული ნორმების შემოწმებაც.

„სანიტარული ნორმები არ გაუქმებულა, დღესაც მოქმედია და ჯანდაცვის სამინისტრის ბრძანებით არის დამტკიცებული. მხოლოდ გარე კონტროლი გაუქმდა. აუზის მეპატრონეები იყენებენ შიდა კონტროლს აუზის მოსაწესრიგებლად. სახელმწიფო დონეზე გაუქმდა ეს კონტროლი, იმიტომ, რომ გაუქმდა სანიტარიული კოდექსი, რომელიც ჩაანაცვლა საზოგადოებრივი ჯანდაცვის კანონმა. ახალი ბრძანების გამოცემაზე მიმდინარეობს მუშაობა და სავარაუდოდ გამოიცემა ახალი ბრძანება, რომელშიც გაირკვევა ის ადმინისტრირების ორგანო, რომელმაც უნდა გააკონტროლოს საცურაო აუზების ჰიგიენური ნორმები,“ – განაცხადა ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელმა მარინა ბაიდაურმა.

თიკო გურაშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი მოსკოვზე ზემოქმედებას გაეროს მეშვეობით მოახდენს

სასაზღვრო ნიშნების დაყენება სამხრეთ ოსეთში საქართველოში შეაფასეს, როგორც „მცოცავი ანექსია“ რუსეთის ფედერაციის მხრიდან

სიტუაცია საქართველო-სამხრეთი ოსეთის საზღვარზე საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის თბილისში მყოფ ევროსაბჭოს თავმჯდომარესთან დონალდ ტუსკთან მოლაპარაკების მთავარი თემა გახდა. დაძაბულობის ახალი ხვეული, საქართველოს მხარის მტკიცებით, პროვოცირებულია რუსეთის სამხედროების მიერ „საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევით“. რუსეთის მხარის განცხადებით, სამხედროებმა შეასრულეს ცხინვალის ხელისუფლების გადაწყვეტილება და ხელმძღვანელობდნენ საერთოდ აღიარებული გეოგრაფიული რუკებით.

სასაზღვრო ხაზის მოწყობამ, რომელსაც საქართველოს მხარე მიიჩნევს „ადმინისტრაციულ საზღვრად“, მიგვიყვანა იმასთან, რომ ქართული სოფლები წითელუბანი, ხურვალეთი, ორჭოსანი აღმოჩნდნენ მიბმული „ოკუპირებულ ზონასთან“ — ასე უწოდებს ოფიციალური თბილისი სამხრეთ ოსეთს.

სერიოზული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად საქართველოს ხელისუფლებამ მოქალაქეთა გადაადგილების განსაკუთრებული რეჟიმი შემოიღო დასახლებული სოფლების მიმართულებით. შეზღუდვები იმოქმედებს, როგორც მინიმუმი, ერგნეთში კონფლიქტის პრევენციასთან დაკავშირებით რიგგარეშე მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ“, — განაცხადა საქართველოს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შალვა ენუქიძე.

როგორც შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორუფლებიანობის სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა, გუშინ ერგნეთში შეხვედრაზე „ვიზავიმდე“ იქნა დაყვანილი საქართველოს პოზიცია, რომელიც არ ღებულობს ადმინისტრაციული საზღვრის გადატანის შესახებ მოქმედებებს. **„ჩვენ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისაგან უნდა მივაღწიოთ რუსეთზე ზემოქმედების გაძლიერებას“,** — განაცხადა მან.

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ რუსეთი აწარმოებს საქართველოს მოთმინების გამოცდას და ცდილობს იგი ახალ კონფლიქტში ჩაითრიოს. **„ხელისუფლების ამოცანაა — არ დაუშვას ეს... ტრაგიზმი, რომელიც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ხდება ხელოვნურად გავლებულ საზღვართან, თითოეულის შეშფოთების ერთადერთი საგანია. მაგრამ მთავარი ამოცანაა, რომ ქვეყანა არ გახდეს ამ პროვოკაციების მსხვერპლი, იმ პროვოკაციებისა, რომლებსაც რუსეთის სახელმწიფო მუდმივად აწარმოებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ“,** — თქვა ხიდაშელმა.

თბილისის კომენტარები შეუმჩნეველი არ დარჩენია მოსკოვს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა, რომელიც წარმოადგენს რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობის მოწესრიგების მოლაპარაკებებზე, განაცხადა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრის არანაირი გადატანა არ მომხდარა, რუსეთის სამხედროები მხოლოდ ასრულებდნენ სამხრეთი ოსეთის ხელისუფლების მითითებას საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით, და ამ დროს მოქმედებდნენ საერთოდ აღიარებული რუკებით, ზუსტად მისდევდნენ ტერიტორიის გაყოფის ხაზს. გრიგორი კარასინმა მოუწოდა ოფიციალურ თბილისს წინააღმდეგობა გაუწიოს პროვოკაციებს, რომლებსაც აწყობენ საზღვრისპირა ადგილებში საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მინისტრის მოადგილემ იცოდა რასაც ამბობდა. წინა დღით სოფელ ხურვალეთთან ანტირუსული პროტესტებით გამოვიდნენ „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების წარმომადგენლები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაახლოებული ყოფილ ხელისუფლებასთან; თვით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც კი. შეგახსენებთ, რომ ეს არის საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტია. ზოგიერთი მონაცემებით, მათ ზოგიერთი სასაზღვრო ბანერის გადაყრავებაც კი მოასწრეს, ვიდრე ადგილზე მოვიდოდა ქართული პოლიცია და შეწყვეტდა სახიფათო აქციას. სხვა მონაცემების თანახმად, პოლიციას დაეხმარნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ტკბილი სიტყვებით არ მოიხსენიებდნენ საქართველოს ყოფილ ხელისუფლებას და რომლის დროსაც მოხდა ხუთდღიანი ომი, რაც რუსეთის მიერ სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით დამთავრდა.

შეწყვეტილი აქციის მონაწილეები უკან თბილისში დაბრუნდნენ, სადაც თანამოსაზრეთა დიდი რაზმის შეკრების დროს შეეცადნენ მოეწყოთ უფრო მასშტაბური მანიფესტაცია მთავრობის ოფისთან, მაგრამ ესეც ვერ მოხდა სრული მოცულობით — ამას ხელი შეუშალა პოლიციამ. შემდეგ კი ეს მოედანი დაიკავა ახალგაზრდობამ, რომელიც მხარს უჭერს ტრადიულ ღირებულებებს — იგი გამოვიდა პროტესტით ერთსქესიანი ქორწილების ლეგალიზაციის და სხვა „ახალი მოდების“ წინააღმდეგ.

საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკთხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა, როდესაც საზღვარზე გამწვავებას უკეთებდა კომენტარს, შენიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც 7 წლის წინ ომში ჩართო საქართველო, ცხადია, ისწრაფვის ტრაგიკული მოვლენების განმეორებისაკენ. მისი სიტყვებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომხდარი მოვლენების შესახებ ეცნობა საერთაშორისო გაერთიანებას, თვით გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მონს, და რუსეთისაგან მოითხოვენ შეწყვიტოს მოქმედებები, რომლებმაც შეიძლება მიგვიყვანს სიტუაციის გამწვავებასთან. ამავე დროს სახელმწიფო მინისტრმა შენიშნა, რომ მაჩვენებლების დაყენებაში არაფერია ტრაგიკული — ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ჯარების მიერ და რუსეთი არის პასუხისმგებელი კიდეც მომხდართან დაკავშირებით, ხოლო იმ მხარეზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს, რუსეთის ჯარისკაცები არ შემოსულან.

სახელმწიფო მინისტრის სიტყვებმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საქართველოს საზოგადოებაში. მით უმეტეს, რომ მალე შემოვიდა ინფორმაცია საქართველოს სხვა საზღვრებიდან. ერთბაშად რამდენიმე გაზეთმა გვაცნობა, რომ სომხეთმა „ხელში ჩაიგდო ასობით ჰექტარი“ ქართული მიწა და იქ თავისი მესაზღვრეები დააყენა. ოპოზიციამ უმალვე ბრალი დასდო ხელისუფლებას უმოქმედობაში და უპასუხისმგებლობაში, რისი შედეგიც გახდა, რომ „სომხეთს მადა გაეხსნა“.

სკანდალის გაღვივებას საშუალება არ მისცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისდროულმა განცხადებამ, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ საქართველო და სომხეთი აწარმოებენ სადემარკაციო და სადელიმიტაციო სამუშაოებს საერთაშორისო შეთანხმების თანახმად, და არაფერი უკანონო საქართველო-სომხეთის საზღვარზე არ ხდება. უწყების პრეს-მდივანმა დავით კერესელიძემ განმარტა, რომ სსრ კავშირის დროს ამ ადგილზე გადიოდა ადმინისტრაციული საზღვარი, „დღეს კი“, საზღვრის დემილიტაციის შემდეგ, იქ დადგნენ სომეხი მესაზღვრეები“. **„საკითხი შეეხება სულ რაღაც ათეულ მეტრს, სადაც ჩვენს მცხოვრებლებს ადრე შეეძლოთ შესულიყვნენ, ახლა კი არა. ამან შექმნა ტერიტორიის დაკარგვის ილუზია, რაც სინამდვილეში ასე არაა“,** — ხაზგასმით აღნიშნა კერესელიძემ. საზღვრის გადატანის ფაქტი უარყო აგრეთვე საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სამსახურმაც.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ვილნიუსში მწვანე ხიდიდან მოხსნეს უკანასკნელი საბჭოთა ქანდაკებები

საბჭოთა მუშების, გლეხების, სტუდენტებისა და სამხედროების ქანდაკებების ადგილზე გაჩნდა ლარნაკები ყვავილებით. მერმა შიმაშიუსმა აღიარა, რომ ავარიული მდგომარეობის გამო დემონტირებული ქანდაკებები პირველები როდია რესტავრაციის რიგში, თუმცა, მუზეუმებში მათ გადაცემას იგი არ ჩქარობს. „ლიტველი რუსების კავშირში“ ირონიით საუბრობენ: გადაწყვეტილება — დაანგრიონ ყველაფერი და ააშენონ ახალი — მეტად ბოლშევიკურია.

„ნასას“ თანამგზავრმა გააკეთა დედამიწის „ეპიკური“ ზეზუსტი ფოტო

მაღალი ხარისხის სურათზე პლანეტიდან 1,5 მილიონი კილომეტრის დაშორებით მოსჩანს ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკა, აგრეთვე კარიბის ზღვის აუზი. კარიბის ზოგიერთი კუნძულის გარშემო შეინიშნება წყლის სიმცირე. ფოტოგრაფიაზე ეს შეიძლება შეამჩნიო წყლის ფირუზის ფერით. სექტემბრიდან თანამგზავრის გუნდი გვპირდება რეგულარულად გამოაქვეყნოს დედამიწის ფოტოგრაფიები.

ლონბასში მოლაშქრეთა ტექნიკის უკან დახევის ნაცვლად „შეიარაღების გადაადგილების გაძლიერება“ დააფიქსირეს

19 ივლისს მოლაშქრეებმა განაცხადეს 100 მილიმეტრის კალიბრის სამხედრო ტექნიკის უკან დახევის დაწყების შესახებ სულ ცოტა 3 კილომეტრის მანძილზე შეხების ხაზიდან. 20 ივლისს ეუთოს სპეციალური მონიტორინგული მისიის ხელმძღვანელმა უკრაინაში ალექსანდრ ხუგმა კი განაცხადა შეიარაღების გადაადგილების გაძლიერების შესახებ: „ეს მძიმე ტექნიკის უკან დახევაზე არ მოწმობს“.

ბურუნდში, მიუხედავად აფეთქებების და სროლებისა, სტარტი აიღო პრეზიდენტის არჩევნებმა

შეტაკებათა მსხვერპლი გახდა როგორც მინიმუმ 2 ადამიანი — პოლიციელი და ადგილობრივი მცხოვრები. მომხდარში ხელისუფლება ოპოზიციას ადანაშაულებს. მისი აზრით, ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ დააშინონ ამომრჩევლები.

იაპონიის ხელისუფლებას სურს შეამოწმოს ქვეყნების პოზიცია კურილიის კუნძულებთან დაკავშირებით

იაპონიის ხელმძღვანელობა აპირებს მოითხოვოს რუსეთის ფედერაციისაგან პატივი სცეს 2001 წლის შეთანხმებას სასაზღვრო დავის გადაჭრის გზების შესახებ კურილიის რიგის 4 კუნძულთან დაკავშირებით. სინძო აბეს ადმინისტრაციას სურს დარწმუნდეს, რომ ტოკიოსა და მოსკოვს მსგავსი შეხედულებები აქვთ კურილიის კუნძულების გადაწყვეტის გზებთან დაკავშირებით, რომელთა ტერიტორიული კუთვნილების შესახებაც დავობს იაპონიის მხარე.

სიტყვა ილიას ნაქონი სიტყვის გადასარჩენად

ერთმა მეტად სავალალო გარემოებამ მათქმევინა ეს სიტყვა. საქმე ეხება ძირძველი სიტყვის უშიშროების დაკნინებას, გამეტებასა და გაუჩინარებას და მის ნაცვლად შედარებით გვიანდელი სიტყვის უსაფრთხოების დამკვიდრებას. ეს კარგა ხანია, გრძელდება – გასული საუკუნის 90-იანი წლების დამლევიდან, და რაც დრო გადის, მით უფრო მძლავრობს და ვრცელდება იგი. ნამდვილი პრობლემაა!

ამან განსაკუთრებით იჩინა თავი ახლა, როცა გადაწყდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების საკითხი. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ პრესას, მოვისმენთ ტელე-რადიოგადაცემებს (აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება 2015 წლის 13 ივნისის ღამით მდინარე ვერესა და მის მიდამოებში მოვარდნილი ღვარცოფის შედეგად დიდი მსხვერპლის, აურაცხელი ზარალისა და ზიანის გამომწვევი თავზარდამცემი ტრაგედიის შესახებ გამოქვეყნებულ მასალებში „უსაფრთხოების“ ხმარების სავსებით გასაგები სიხშირე).

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოვიყვან ამ ტერმინის არადანიშნულებისამებრ ხმარების რამდენიმე მაგალითს: „...ევროკავშირისა და ნატოს პარტნიორობა კონტინენტის **უსაფრთხოებისთვის** ფრიად მნიშვნელოვანია“; „...პაუელი გაეროს **უსაფრთხოების** საბჭოში (ამასაც მისწვდნენ – **ო. კ.**) ომის დაწყების აუცილებლობის მტკიცებით გამოვიდა“; „...დღევანდელი კონფერენციით თემა გლობალიზაცია და **უსაფრთხოება...**“; „ევროპის **უსაფრთხოებისა** და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ესაც არ დაინდვეს! – **ო. კ.**) 1979 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკის საბოლოო აქტის საფუძველზე აღმოცენდა“ და მრავალი სხვა.

ამავე დროს ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა იხმარება **„უშიშროება“** შესაფერის კონტექსტში: „ეჭვქვეშ აყენებს სტაბილურობასა და **უშიშროებას** ამ რეგიონებში“, „არსებობს **სახელმწიფო უშიშროების** სამსახური, სადაც იციან, როგორ მომზადდა თავდასხმა...“; „საქართველო მზადაა, მომავალშიც შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი **გლობალური უშიშროების** განმტკიცებაში...“; „არჩევნების დროს ამომრჩევლებმა ყველაზე სერიოზულ საკითხად დაასახელეს **ეროვნული უშიშროების** საკითხი“; „...როგორც... უმაღლესი დონის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სტალინიც ზრუნავდა თავისი **ქვეყნის უშიშროების** დაცვაზე...“; „ყველამ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი სამშობლოს დემოკრატიზაციის, **უშიშროებისა** და სტაბილურობის მისაღწევად“... და სხვ.

დროთა განმავლობაში ამ ტერმინების აღრევის ცალკეული შემთხვევები გადაიქცა ტენდენციად, მერე კი – უხეირო ტრადიციად. ეს უკვე კარგა ხანია, დაეტყო სახელმწიფო სტრუქტურათა სახელწოდებებსაც: საქართველოს პრეზიდენტის უმაღლესი სათათბირო ორგანო – ეროვნული უშიშროების საბჭო, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი და ამავე დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების სააგენტო (მანამდე კი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი) და ა. შ.

ასეთია, სამწუხაროდ, ამ ორი ტერმინის ხმარებასთან დაკავშირებული დღევანდელი ვითარება. მაინც რა გახდა ამ ტერმინების აღრევის მიზეზი? სანამ ძირითად სათქმელს გეტყოდეთ, ერთ ამბავს მოგახსენებთ: დიდი ხნის წინათ ერთ-ერთი უცხო ქვეყნის მთავრობის დელეგაციის თბილისში ვიზიტის გაშუქებისას იმდროინდელმა საინფორმაციო საagენტომ – საქინფორმმა მედიისთვის გადაცემულ მასალაში იხმარა სიტყვა დარბაზობა. მეორე დღეს სადირექტივო ორგანოდან რედაქციაში დარეკეს, ეს რა დაგიწერიათ, რუსულ ტექსტში ხომ „прием“ წერიაო. როგორც ჩანს, „უშიშროებასაც“ ასეთი რამ დაემართა.

ამ პროცესის დაჩქარების ერთ-ერთი მიზეზი ის გარემოებაც გახდა, რომ უკვე 2002 წელს ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი გაჩნდა უადგილოდ ნახმარი „უსაფრთხოება“, კერძოდ, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დებულებაში დეპარტამენტების სახელწოდებებსა და ფუნქციების აღწერილობაში მეტწილად ნახმარია ეს სიტყვა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ახალი საუკუნის პირველი ათწლეულის დამდეგს შექმნილმა ეროვნულმა უსაფრთხოების კონცეფციის პროექტმაც.

შემდგომი მსჯელობისთვის მოვიშველიებ ორ საბუთს. პირველია „безопасность“ ტერმინის გადმოქართულება 1963 წელს გამოცემულ „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“, სადაც დაწყვილებულ მსაზღვრელ-საზღვრულთა კომპონენტები ისეა დალაგებული, რომ მათ შორის დასმულია სასვენი ნიშანი მძიმე (,). ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი სხვადასხვა მნიშვნელობისაა. სიმოკლისათვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს „безопасность внешняя, – საგარეო უშიშროება, ს. უსაფრთხოება; ...შინაგანი, ...სახელმწიფო, ...კოლექტიური, ...პირადი, ...საერთაშორისო, ...საზოგადოებრივი უშიშროება, უსაფრთხოება.

მეორეა ის წესი, რომ ლექსიკონში თანაბარი ფორმები აღინიშნება პარალელური ხაზებით (II): დასაბარავი II დასაბარი; დასაბეგრი II დასაბეგრავი; დასალოცი II დასალოცავი; დასათრგუნი II დასათრგუნავი II დასათრგუნველი; დასაკარგი II დასაკარგავი და მრავალი სხვა. ჰოდა, მავანმა ვერ დაინახა ალბათ სხვაობა და გაათანაბრა ზემოთ დასახელებულ ტერმინოლოგიაში მოყვანილი კატეგორიები. სამაგიეროდ, მათი სწორად გაგების ნიმუშია ერთი პოლიტიკოსის კარგა ხნის წინ ნათქვამი: „...პირველი, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, განვიხილავთ **უსაფრთხოების, უშიშროებისა და სამართალდამცავ** (აჯობებდა სამართლდაცვის, – ავტ.) სტრუქტურებად“.

ახლა მივმართოთ ნაცად ხერხს – გავარკვიოთ, როდის და სად იხმარება ეს სიტყვები.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: **„უშიშროება...** 2. მდგომარეობა, როდესაც რისამე საფრთხე არ არსებობს; რაიმე საშიშროება, საფრთხე არ ემუქრება ვისმე, რასმე. სახელმწიფოს უშიშროების დაცვა; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო“. აქვეა „უსაფრთხოებაც“. მართალია, იგი, როგორც ვთქვი, გვიანდელი ფორმაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას აქვს თავისი „სარბიელი“.

„ტექნიკურ ტერმინოლოგიასა“ და საერთოდ ტექნიკურ ლიტერატურაში არის მხოლოდ **„უსაფრთხოება“:** მოძრაობის, სახანძრო სამუშაოთა, რადიაციული, ექსპლუატაციის... უსაფრთხოება.

ენციკლოპედიაში თუმცა, არ არის ეს კატეგორიები ცალკე ასახული, მაგრამ განმარტებულია რამდენიმე ცნება: უსაფრთხოების ტექნიკა (საორგანიზაციო და ტექნიკური ღონისძიებები) და მასთან დაკავშირებული ერთეულები: „ტექნიკური ინსპექტორი“ (ტ. 9, გვ. 705), ტექნიკური უსაფრთხოება (ტ. 10, გვ. 184); და უშიშროების საბჭო (გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა), რომელსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია...“.

შემდეგ დავით ჩუბინიშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ არის: **უშიშროება, უშიშობა** – неустрашисость, безопасность; ნიკო ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ – безопасность – **უშიშროება,** უფიქრელობა; გიორგი ახვლედიანისა და ვარლამ თოფურიას 1990 წლის მე-2 გადამუშავებულ და შევსებულ „ქართულ-რუსულ ლექსიკონში შეტანილია **„უშიშროება** – „безопасность“, არც ერთ ამ ლექსიკონთაგანში არ არის **უსაფრთხოება.** მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ გავიმეტოთ მოგვიანებით გაჩენილი ეს სიტყვა? არამც და არამც. ეს ხომ ენის სიმდიდრეა!

სხვა საქმეა, როცა ენას არა აქვს უნარი, გამოხატოს ორი ცნება სხვადასხვა ფორმის კატეგორიებით. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, რუსულში: политическая, национальная... безопасность, техническая безопасность; პოლონურში: bezpieszestwo; ფრანგულში: securite – **უსაფრთხოება/უშიშროება;** conseil de securite – **უშიშროების საბჭო;** technique de la securit **უშიშროება/უსაფრთხოება;** – consejo de seguridad – **უშიშროების საბჭო;** tecnika de segureidad – **უსაფრთხოების** ტექნიკა; აზერბაიჯანულში – მილი (ეროვნული) თაჰლაქასილზლიქ, თეხნიქი (ტექნიკური) თაჰლაქასიზლიქ; სომხურში – აზგაინ (ეროვნული) ანვტანგუთიუნ, ტეხნიკაკან (ტექნიკური) ანვტანგუთიუნ.

არც ერთი მათგანი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავინახოთ ჩვენთვის საინტერესო განსხვავება. სამაგიეროდ ამის შესაძლებლობას გვიქმნის გერმანული: Gefachtlosigkeit, Sichehait, რაც ნიშნავს **უსაფრთხოებას,** და Furchtlosigkeit – უშიშროება. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა ინგლისური ენა, სადაც აგრეთვე გამიჯნულია ერთმანეთისგან ეს ორი კატეგორია: security – **უშიშროება** და safety – **უსაფრთხოება.** მაგალითად, გვაქვს, ერთი მხრივ, უშიშროება security officer – **უშიშროების ოფიცერი** და, მეორე მხრივ, saferty engineer, safety supervisor – **საგზაო მოძრაობის უსაფრთხოეის წესები.** არის კიდევ safety belt – საშველი (დამცავი) სარტყელი და სხვ.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია და მართებულად არის ჩამოყალიბებული გლობალური თუ რეგიონალური ორგანიზაციების სახელწოდება: Security coucil – გაეროს უშიშროების საბჭო; (UN) Organization for security and cooperation in Europe (OSCE) – ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია; Pacific Security Pact – ანზიუსი (ავსტრალია, ახალი ზელანდია, შეერთეუბლი შტატები) – ოფიციალური სახელწოდება: „წყნარი ოკეანის უშიშროების პაქტი“ და ა. შ.

რაკი გადაწყდა შსს-ს რეფორმირების საკითხი და აქამდე არსებული სტრუქტურის უფლებამონაცვლე გახდა საქართველოს **სახელმწიფო უსაფრთხოების** სამსახური (აჯობებდა ყოფილიყო: საქართველოს ეროვნული უშიშროების სამსახური), მისი ამოცანა იქნება ალბათ ეროვნული, სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, მეცნიერული, ინფორმაციული, ენერგეტიკული, სასურსათო, ეკოლოგიური და სხვათა და სხვათა უშიშროების უზრუნველყოფა (აქ კონტექსტის მიხედვით შეიძლება „უსაფრთხოებაც“ იყოს).

„უსაფრთხოების“ ასეთ გავრცელებას ზოგიერთი, რამდენადაც ვიცი, იმით ხსნის, რომ იგი უფრო ფართო ცნების გამომხატველია. შეიძლება ასეც იყოს. ხოლო რაც შეეხება „უშიშროებას“, იგი ზოგიერთის აზრით, როგორც სისტემა, საბჭოთა წყობილების პროდუქტია და თავისი მოქმედების უსასტიკესი მეთოდებითა და ხერხებით ცუდ ასოციაციებსა და მათთან დაკავშირებულ ემოციებს იწვევს. არც უამისობაა ალბათ, მაგრამ აქ სიტყვა და ასოციაციები არაფერ შუაშია, რადგან, ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ლექსიკიდან და, მაშასადამე, ისტორიიდან ამოსაგდები იქნება ბევრი სიტყვა-ტერმინი, ცნება და ფაქტი.

დღეს... საოცრად გაღარიბებული, შებღალული და დაკნინებულია ქართული ენა.

მანანა გიგინეიშვილი

რაც შეეხება „პროდუქტს“, იგი არ არის ახალი. „Власть Российского государства всегда базировалась на тайной полиции, начиная с опричников Ивана Грозного до сегодняшей федеральной службы безопасности. Тайная полиция была активным инструментом деспотического государства, основанного на страхе“ (The Financial Times, 29.XII.04). დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ან თითქმის მსგავსი სტრუქტურები მოქმედებდნენ, მართალია, შედარებით მოკლე ხანს, სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ომამდელ გერმანიაში იყო გესტაპო, რუმინეთში – სიგურანცა, პოლონეთში – დეფენზივა... ამჟამადაც, კონსტიტუციური დებულებებით განსაზღვრული ასეთივე სპეცსამსახურები, მართალია, გამჭვირვალობისა და მეთოდების სხვა ხარისხით, მოქმედებენ ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში – გამოძიებისა და ფედერალური ბიურო და დაზვერვის ცენტრალური სამმართველო (ამას 11 სექტემბრის მერე დაემატა კიდევ შინაგანი უშიშროების სამინისტრო), ინგლისში – „სიკრეტ ინტელიჯენს სერვისი“, საფრანგეთში – ლე სიურტე და სხვ., რომლებსაც დიდი ხნის ისტორია აქვთ. ეს რომ ძველი სახელმწიფო ინსტიტუტია, ამას მოწმობს თუნდაც ლათინური იურიდიული ფრაზეოლოგიზმი: „defensor civitatus“ – მოხელე ძველ რომში, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზოგადოებრივი უშიშროებისთვის“ (აქ სხვაგვარად ვერ იტყვი).

და კიდევ. „...ყურადღებას იპყრობს სახელოვანი მეფის (დავით IV) მიერ გატარებული სახელმწიფო-სამართლებრივი რეფორმები – საეკლესიო, სამხედრო, ქვეყნის უშიშროების თუ სასამართლო დარგში“ (ბაგრატიონები სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“, თბ., 2003, გვ. 99); „მტკიცე მარჯვენა მეფისა და ჰბრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა...“ – ეს დიდი მამულიშვილის სოლომონ დოდაშვილის სიტყვებია.

და, რაც მთავარია. ქვეყნისა და ერისთვის გაწეული ღვაწლის გამო ვახტანგ გორგასალს პატივს რომ მიაგებდა, ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ მას აქეთ, რაც მან „ჩრდილოეთით უშიშარ და უბრუნველ ჰყო მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მიიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი“; „...ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის...“. ეს ციტატაც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებიდანაა მოყვანილი.

კიდევ ერთი უტყუარი საბუთი იმისა, რომ ეს ორი კატეგორია უნდა გაიმიჯნოს: მუხლი 240. სამთო, სამშენებლო და სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა: მუხლი 241. ატომური ენერგეტიკის ობიექტზე უსაფრთხოების წესის დარღვევა და სხვა.

<u>მაგრამ: თავი XXX. **დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ;** თავი XXXVII. დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ; მუხლი. 310. **საქართველოს საგარეო უშიშროების ხელყოფა** და ა. შ. ეს მუხლები მოყვანილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.</u>

აქ კომენტარი ზედმეტია და დასკვნაც ნათელია: ეს ორი კატეგორია უნდა გაიმიჯნოს და უნდა იხმარებოდეს თავ-თავის ადგილას, თორემ ერთი მათგანი დაიკარგება და ზოგიერთი ზემოთ ჩამოთვლილი ენის მსგავსად ერთიღა შემოგვრჩება. ამით კი „შემოკლდება“ ჩვენი ქართული ენა.

ოთარ კაპანაძე

◎ ჭადრაკი

პაიჭაძე და აზალაძე – საუკეთესოთა ოთხეულში

თერთმეტი ქვეყნის 75 მოჭადრაკე მონაწილეობდა ფოთში გამართულ სახელოვანი დიდოსტატის – ნანა ალექსანდრიას თასის გათამაშებაში. ბოლო ტურის წინ ხუთ მონაწილეს 6-6 ქულა ჰქონდა. მე-9 ტურში მათი პარტიები ასე დამთავრდა: ალექსანდრ ზუბოვი (უკრაინა) – გეორგ ჰარუთიუნიანი (სომხეთი) 1:0, ლუკა პაიჭაძე – დავით მაღალაშვილი 1:0, გიგა ყუფარაძე-ვაჰე ბაღდასარიანი (სომხეთი) 0:1. საბოლოოდ სამმა მოჭადრაკემ 7-7 ქულა მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით პირველობა ვაჰე ბაღდასარიანს ერგო. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ალექსანდრ ზუბოვი და ლუკა პაიჭაძე გავიდნენ. 6.5 ქულით მეოთხე იყო შოთა აზალაძე, რომელმაც ბოლო ტურში ზურაბ ჯავახაძე დაამარცხა.

გივი გაგუა

სურათზე: ლუკა პაიჭაძე (მარცხნივ) და დავით მაღალაშვილი.

◎ ძალოსნობა

ზუგდიდის ფიცარნაგზე

66 ძალოსანი მონაწილეობდა 20-წლამდელ ათლეტთა საქართველოს **პირველობაში. ზუგდიდის ფიცარნაგზე ახალგაზრდების დაძაბული პაექრობები სამ დღეს გაგრძელდა.** განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 17-წლამდელებში მსოფლიოს წლევანდელმა ვერცხლის პრიზიორმა რევაზ დავითაძემ. ამჯერად მან საკუთარზე ერთი წონით მაღლა იასპარეზა და ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც პირად საუკეთესო მაჩვენებელს 13 კილოთი გადაამეტა. პირველი აგვისტოდან იგი თანატოლ ირაკლი ჩხეიძესთან, 15 წლის არჩილ მალაყმაძესა და ედუარდ კაკაბაძესთან ერთად შვედურ ლანდსკრუნაში 15 და 17-წლამდელთა ევროპის პირველობაზე მოსინჯავს ძალებს.

ზუგდიდში საინტერესო ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **50 კგ.** გურამ გიორბელიძე (ქუთაისი, 162=72+90), **56 კგ.** ლორია თებიძე (აჭარა, 190=83+107), **62 კგ.** გოდერძი ბერძელიძე (საჩხერე, 235=105+130), **69 კგ.** გოგა ჩხეიძე (ზუგდიდი, გლდანის ოლიმპიური ცენტრი, 280=125+155), **77 კგ.** გიორგი კუჟანაშვილი (თბილისი, გოც, 267=120+147), **85 კგ.** რევაზ დავითაძე (თბილისი, 305=140+165), **94 კგ.** ლონგინოზ ბრეგვაძე (საჩხერე, 332=150+182), **105 კგ.** გიორგი ჩხეიძე (ზუგდიდი, 355=160+195), **+105 კგ.** ბაქარ თურმანიძე (აჭარა, 315=150+165),

გუნდური. 1. ქუთაისი (212), 2. თბილისი (208), 3. ზუგდიდი (205).

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

ჯერ – იაპონია, მერე – მსოფლიო

24-30 აგვისტოს ყაზახეთის დედაქალაქი ასტანა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მოსამზადებლად საქართველოს ნაკრები იაპონიაში გაემგზავრა. მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ამომავალი მზის ქვეყანაში 9 სპორტსმენი **წაიყვანა:** ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ამირან პაპინაშვილი (60), ევროპის ჩემპიონატის ორგზისა და ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი ნუგზარ ტატალაშვილი, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (ორივე – 73), ევროპის სამგზის, მსოფლიოს ორგზის და ევროპული თამაშების ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (81), ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ფინალისტი ვალერი ლიპარტელიანი, ბექა ღვინიაშვილი (90), ევროპული თამაშების ჩემპიონი, ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი ადამ ოქრუაშვილი და ლევან მატიაშვილი (+100). როგორც ვხედავთ, უზნაძეს ასტანაშიც ის გუნდი მიჰყავს, რომელმაც ევროთამაშებზე იასპარეზა.

ნაკრები ტოკიოში ორ კვირას დარჩება, მერე შინ დაბრუნდება და დასკვნით შეკრებას ბორჯომში გაივლის.

თამაზ პატარაია

◎ ხელბურთი

შემადგენლობები დაასახელეს

ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში, რომელსაც 26 ივლისიდან თბილისი უმასპინძლებს, მედლებისთვის ხელბურთელებიც იბრძოლებენ. სპორტის ამ სახეობის ჩვენი ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა საფესტივალო შემადგენლობები დაასახელეს:

ვაჟები. 1. სანდრო ხანდოლიშვილი („ქარიშხალა“), 12. გიორგი ხარაიშვილი („იმედი“), 2. ლუკა გაწერელია („პეგასი“), 3. გიორგი დოლმაზაშვილი („ყვარელი“), 6. გიორგი მერკვილაძე („ქუთაისი“), 7. ხაზეინ რუსტამოვი („იმედი“), 8. გიორგი ტიელიძე („გორი“), 10. ირაკლი კბილაშვილი („ქუთაისი“), 11. ერეკლე არსენაშვილი („ქარიშხალა“), 13. ლუკა ბულბულაშვილი („ქარიშხალა“), 14. გიგი ფერაძე („ქარიშხალა“), 15. ზეზვა იობაშვილი („იმედი“), 18. ნოდარ მაისურაძე („პეგასი“), 22. გიგა ზარნაძე („პეგასი“), 24. ზურაბ გოგავა („პეგასი“, გერმანია), **მთავარი მწვრთნელი** გარი თურქია, **მწვრთნელი** გიორგი ქობელაშვილი;

სათადარიგოები: დავით მამულაშვილი („პეგასი“), ლევან მამულაშვილი („პეგასი“), გიორგი ცხოვრებაძე („პეგასი“), მიხეილ ნაზღაიძე („პეგასი“).

გოგონები. 16. ქრისტინე ჯავახია („ოქროს ვერძი“, ფოთი), 22. მარიამ ჩაჩუა („პეგასი“), 7. თინა ქიტესაშვილი („ყვარელი“) 9. თათია გადელია („ოქროს ვერძი“), 10. სოფო იორდანიშვილი („ყვარელი“), 13. ქრისტინე ღვალაძე („მამული“), 15. თამარ ჩოგოვაძე („პეგასი“), 17. მედეა ჩოხელი („პეგასი“), 18. ქეთევან ვენეცკი („პეგასი“), 19. ანა ყველაშვილი („მამული“), 23. მარიამ მიხელიძე („ყვარელი“), 24. ნინო გაბისონია („მამული“), 29. ქეთი კუნელაშვილი („ყვარელი“), 31. მაია ბერიძე („პეგასი“), 39. თამთა თეთრაშვილი („ყვარელი“), **მთავარი მწვრთნელი** გიორგი გვაზავა, **მწვრთნელი** ინა ჭკუასელი;

სათადარიგოები: 1. თინათინ ყაველაშვილი („პეგასი“), 12. ანა ვარდიშვილი („მამული“), 11. ლელა მორჩაძე („პეგასი“), 34. თამარ გიორგაძე („მამული“).

ქართველი გოგონები პირველ მატჩში ჩეხეთს შეხვდებიან, ვაჟები კი შვეიცარიასთან გაარკვევენ ურთიერთობას.

ლეძსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

სექსი, სპორტი და ჰარმონია

დღემდე მიჩნეულია, რომ სპორტი და ფიზიკური **ვარჯიში ადამიანის სექსუალურ შესაძლებლობებზე არცთუ დადებითად მოქმედებს და ვარჯიშს გადაყოლილი კაცის (ან ქალის) ორგანიზმი სექსისა და ხვანცალისთვის სულ უფრო ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. ამ მოსაზრებას ბევრი სპორტსმენიც იზიარებს.**

ამ ცოტა ხნის წინათ კი ქალაქ ბრაუნშვაიგის მკვიდრმა გერმანელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ აღნიშნული მოსაზრება ძირეულად მცდარია, რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, გამორიცხავს ადამიანის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ყველაფერი პირიქითაა.

მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ ადამიანების დაახლოებით 30%-სათვის სპორტი ერთგვარი სექსუალური სტიმულატორია და ვარჯიშის შემდეგ გახვანხვალება ადამის მოდგმის არაერთ წამომადგენელს მოსწონს. გერმანელი მეცნიერები ბოლო დროს მომრავლებულ სექსუალურ პრობლემებს უფრო მეტად თანამედროვე სტრესული ცხოვრების პირობებს უკავშირებენ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მოკლედ

საფეხბურთო მოზაიკა

ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა ჯეფრი უებმა, რომელიც კორუფციაშია ეჭვმიტანილი, 10 მილიონი დოლარი გირაოს უზრუნველსაყოფად 11 ძვირადღირებული საათი, სამი ავტომანქანა, ცოლის საქორწინო ბეჭედი და უძრავი ქონების 10 ობიექტის დოკუმენტი ჩააბარა. ამის შესახებ სააგენტო „ასოშიეიტედ პრესი“ იუწყება.

უებმა ავტომობილები „ფერარი“ და „რენჯ როვერი“, რომლებიც მის ცოლზეა გაფორმებული, თავისი „მერსედესი“, ცოლის ბრილიანტის საქორწინო ბეჭედი, ბრილიანტის სამაჯური, ორი წყვილი ბრილიანტისა და მარგალიტის საყურეები, უძრავი ქონების 10 ობიექტი, აგრეთვე ცოლის ანგარიშიდან 410000 დოლარი წარმოადგინა.

უებს ამერიკის პროკურატურა მილიონობით დოლარის ქრთამის აღებაში ადანაშაულებს, რომლის სანაცვლოდ მან სხვადასხვა მარკეტინგულ ფირმებს მარკეტინგული უფლებები მიჰყიდა. ასევე, ის თანხების გაფლანგვაშია ეჭვმიტანილი. მიმდინარე კვირაში უებს შვეიცარიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიცია მოუწევს.

* * *

ლეგენდარული პელე სანპაულუს საავადმყოფოდან გამოწერეს. 74 წლის ბრაზილიელმა ზურგის ოპერაცია გაიკეთა. როგორც იქაური საიტები წერენ, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. პელემ საავადმყოფოში 5 დღე გაატარა. ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს შარშანაც გაუკეთეს ოპერაცია, ოღონდ კუჭის.

ფეხბურთის მეფემ პირველი კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ თავს კარგად გრძნობს. ის 23 ოქტომბერს ხდება 75 წლისა და საერთოდ, ბოლო თვეებს თუ არ ჩავთვლით, რკინის ჯანმრთელობა აქვს.

* * *

მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ფრანკ რიბერი გერმანიის ბუნდესლიგის სტარტს გამოტოვებს, რომელიც 14 აგვისტოსაა დაგეგმილი. ფრანგი ფეხბურთელი მარტის შემდეგ მკურნალობს და რეაბილიტაცია გაიარა, მაგრამ ოპტიმალურ სათამაშო ფორმაში ჯერ არაა.

„პირველად დიდი ხნის განმავლობაში ტკივილს არ ვგრძნობ. მწყობრში როდის ვიქნები არ ვიცი, მაგრამ სათამაშო ფორმაში შესასვლელად დრო მჭირდება. რაც შემიძლია, გავაკეთებ, მაგრამ ჩემპიონატის სტარტისთვის მზად არ ვიქნები“ – იუწყება რიბერის სიტყვებს გერმანული ინტერნეტ-პორტალი sport.de.

გიორგი ზოთაძე

◎ ინფორმაცია

კაბალური ხელშეკრულება

უალკოჰოლო სასმელების მარკირებასთან დაკავშირებით 2010 წლის აპრილში წინა ხელისუფლების მიერ დადებულია კაბალური ხელშეკრულება , რომელიც გვავალდებულებს, რომ შემოვიღოთ აღნიშნული მარკირება, - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

მისივე თქმით, წინა ხელისუფლების მიერ დადებული ხელშეკრულების გაუქმება არის ძალიან მძიმე ფინანსური დარტყმა ქვეყნისთვის.

„უალკოჰოლო სასმელების მარკირება არის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს მეზობელ სომხეთში. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შემოსავლების სამსახური თავად დააფინანსებს აღნიშნულ ღონისძიებებს. მიკვირს მეწარმეების, რატომ არიან წინააღმდეგი აღრიცხვიანობის პროცესის. სახელმწიფოსა და კომპანია „სიპკას“ შორის არის დადებული ხელშეკრულება, რომელშიც ხელფეხი აქვთ შეკრული ქართულ სახელმწიფოს იმისთვის, რომ მან გააუქმოს ან გადახედოს აღნიშნულ ხელშეკრულებას. ეს არის დადებული წინა ხელისუფლების დროს მკაცრი პირობებით“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ფინანსთა მინისტრმა ასევე ისაუბრა ლუდის აქციზთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ლუდის აქციზზე ლუდის მწარმოებელი კომპანიების ბრუნვა გასული წლის ივნისთან შედარებით 1%-ით არის შემცირებული.

„კოკა-კოლა“ ოლიმპიადისთვის სიახლეს გვთავაზობს

კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ სპეციალურად ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის, ნახევარლიტრიანი ბოთლი „თბილისი 2015“-ის ლოგოტიპით გამოუშვა.

„თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტიდან იტყობინებიან, ბრენდირებული „კოკა-კოლას“ ჩამოსხმის პროცესს დღეს, „თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანი მედიის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრება. მასპინძლობას კი მათ კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს გენერალური მენეჯერი თემურ ჭყონია გაუწევს.

მათივე ინფორმაციით, „კოკა-კოლასა“ და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობას მრავალწლიანი ისტორია აქვს. 1896 წელს, როდესაც პირველი ოლიმპიური თამაშები ათენში ჩატარდა, „კოკა-კოლა“ ამ სპორტული ღონისძიების მხარდამჭერი იყო. მას შემდეგ „კოკა-კოლა“ ოლიმპიური თამაშების მუდმივი პარტნიორია და მოუწოდებს ათასობით ადამიანს მთელ მსოფლიოში მისდიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

გამონაკლისი არც „თბილისი 2015“-ია, სადაც „კოკა-კოლა“ მთავარ პარტნიორად დასახელდა.

შსს-მ 7 კილოგრამზე მეტი კოკაინი ამოიღო

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოდან უკანონო გატანის მცდელობის ბრალდებით ლიბანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებული ელიანო კ. სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ხელჩანთაში არსებულ სპეციალურ სამალავში და ასევე, ამავე ჩანთაში მოთავსებულ ლამინირებულ ფოტოალბომში აღმოაჩინეს ნარკოტიკული საშუალება კოკაინი, რომლის საერთო წონა ექსპერტიზის დასკვნით 7კგ და 348 გრამია. დაკავებული აღნიშნული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოს სატრანზიტო გზით თურქეთის რესპუბლიკაში გატანას ცდილობდა.

◎ ჩვენი კარაბადინი

შეჯევა სიმსივნეზე

საუცხოო გარეგნობით გამორჩეული ქალბატონის, პოპულარული მომღერლის ჟანა ფრისკეს ტრაგედიამ და ცოტა ხნის წინათ საქვეყნოდ განთქმული ბარიტონის დიმიტრი ხვოროსტოვსკის ავადმყოფობის ამბავმა, საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრო თემას, რომლის თაობაზე ნაკლებად ლაპარაკობენ — ესაა თავის ტვინის სიმსივნეები. **რატომ წარმოიქმნება ისინი, რა არის ამის მიზეზი, როგორია მათი დიაგნოსტიკა და მკურნალობა?**

— სიმსივნურ დაავადებათა მთლიან სტრუქტურაში თავის ტვინის სიმსივნეთა წილი არც თუ დიდია და შემთხვევათა მხოლოდ 5-10 პროცენტს შეადგენს, — ამბობს ნ.ნ.ბურდენკოს სახელობის ნეიროქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცენტრის „გამა-ნოჟის“ ნეიროქირურგი და რადიოლოგი **სერგეი ილიალოვი**. — ისინი, შესაძლოა, ქალა ტვინის ნებისმიერი ქსოვილიდან წარმოიშვან — თავის ტვინის ან მისი გარსის ნივთიერებისგან, ნერვების გარსისგან, სისხლძარღვებიდან. ბავშვებს უფრო ხშირად ავთვისებიანი, ზრდასრულ ადამიანებს კი კეთილთვისებიანი სიმსივნეები უვითარდებათ.

თუმცა კი, თავის ტვინის სიმსივნეებთან მიმართებაში ეს დაყოფა საკმაოდ პირობითია, ვინაიდან **თავის ქალის ჩაკეტილ სივრცეში ნებისმიერი ახალი წარმონაქმნის ზრდა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის სერიოზული საფრთხის შემცველია**. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თავად სიმსივნის უჯრედული შემადგენლობა, ონკოლოგიური თვალსაზრისით, საშიში არ არის, პოტენციურად მას მაინც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. ზრდასრულ ადამიანთა თავის ტვინის ავთვისებიან სიმსივნეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კიბოს მეტასტაზებს სხვა ორგანოებიდან.

თავის ტვინში ნებისმიერი ახალი წარმონაქმნი შიდა ქალის წნევის ზრდას იწვევს, რასაც შესაძლოა, პაციენტის დაღუპვა მოყვეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიმსივნე სწრაფად იზრდება და ფუნქციონალურად მნიშვნელოვან ზონაში წარმოიქმნება.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ **თავის ტვინის ყველა სიმსივნე საბედისწერო არ არის**. მაგალითად, ნელა მზარდმა, კეთილთვისებიანმა სიმსივნეებმა შესაძლოა დიდ ზომებსაც მიაღწიონ კიდეც, მაგრამ არანაირი სიმპტომები არ გამოიწვიონ და თავის ტვინი მოერგოს ქალაში ამ ჭარბი მოცულობის მასის არსებობას. ოღონდ ისიცაა, რომ **მკურნალობა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია**.

ამჟამად სიმსივნეებზე სამკურნალო ზემოქმედების არსენალი საკმაოდ დიდია. პირველ ყოვლისა, ესაა **ნეიროქირურგიული ჩარევა,** აგრეთვე **დასხივების სხვადასხვა მეთოდიკები** — როგორც სტანდარტული, ასევე წერტილოვანი (სტერეოტოქსიკური). პირველადი ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ **ქიმიოთერაპიულ პრეპარატებს**, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ტარგენტული წამლები, რომლებიც სიმსივნურ უჯრედებში არღვევენ მიმოცვლით პროცესებს დაზიანებულ ქსოვილებზე უშუალო ზემოქმედებით, რა დროსაც ჯანსაღ ქსოვილებს არ ეხებიან. მკურნალობის ასეთი სქემები ამჟამად მეტად პერსპექტიულადაა მიჩნეული, თუმცა კი, სამუწახროდ, ასპროცენტიანი შედეგის მიღწევა დღესდღეობით ვერ ხერხდება. განსაკუთრებით კი ეს ეხება მაღალი ხარისხის სწრაფად მზარდ სიმსივნეებს, მაგალითად გლიობლასტომას, რომელმაც ჟანა ფრისკეს სიცოცხლე იმსხვერპლა. ამ შემთხვევაში ექიმებს სიცოცხლის გაგრძელება მხოლოდ 1,5-2 წლით შეუძლიათ.

საგულისხმოა ისიც, რომ **თავის ტვინის სიმსივნეებს მკვეთრად გამოხატული სიმპტომატიკა ყოველთვის არ ახლავს**. ამ დროს ბევრი რამ სიმსივნის ლოკალიზაციაზე, მისი ზრდის ტემპსა და კიდევ მთელ რიგ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. **ყველაზე უფრო ხშირი ნიშანია თავის ტკივილი. განსაკუთრებული ყურადღება კი უნდა მიექცეს ახლად წარმოქმნილ და მოკლე ხანში სისტემატურად ჩამოყალიბებულ თავის ტკივილებს. თავის ტკივილი, რომელსაც გულისრევა და პირღებინება ახლავს, თავის ქალის შიდა წნევის მომატების ნიშანია, რომელიც მიშვებულ შემთხვევებში იწყება და სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს.**

როცა სიმსივნე თავის ტვინის ფუნქციონალურ ზონაში წარმოიქმნება, შესაძლებელია ნევროლოგიურ დარღვევათა წარმოშობა, ისეთების, როგორებიცაა პარეზები და დამბლები (სისუსტე ხელში, ფეხში), მეტყველების მოშლა, ზოგიერთ შემთხვევაში სიმპტომატური ეპილეფსია, დეჟავიუს სინდრომი (ფსიქიკური მდგომარეობა, რომლის დროს ადამიანს ეჩვენება, თითქოს უწინ უკვე ყოფილა ასეთ მდგომარეობაში) და სხვა.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ **პაციენტის ჩივილების ზუსტად დიფერენცირება მხოლოდ ექიმ-ნევროლოგს ან ნეიროქირურგს შეუძლია და სწორედ ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რა დამატებითი გამოკვლევები უნდა დაენიშნოს მას**. საქმე ისაა, რომ თავის ტკივილები, შესაძლოა, მრავალ სხვა დაავადებასაც ახლდეს, მათ შორის ქრონიკული დაღლილობის სინდრომს, კისრის ოსტეოქონდროზს, ათეროსკლეროზის ფონზე თავის ტვინის მსხვილი და წვრილი სისხლძარღვების დაზიანებას, დიაბეტს, ჰიპერტონიულ დაავადებასა და სხვ.

სად იმკურნალოს —ეს თითოეული პაციენტის საკუთრივ გადასაწყვეტია. დიმიტრი ხვოროსტოვსკის შემთხვევაში არჩევანი გასაგებია და ბუნებრივი — ოჯახთან ერთად იგი ლონდონში ცხოვრობს. რაც შეეხება სიმსივნის საწინააღმდეგო მკურნალობის მეთოდიკებს, ისინი არსებითად, ყველგან ერთნაირია. მართალია, სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს კიდევ ექსპერიმენტული მეთოდიკები, რომლებიც სხვადასხვა კლინიკებში გამოიყენება, თუმცა კი ფართო პრაქტიკაში დანერგვამდე მათი ეფექტიანობა. ჯერ კიდევ საკმარისად დადასტურებული არ არის.

◎ გაითვალისწინეთ!

17 საუკეთესო ცხოვრებისეული რჩევა

1. გარს შემოიკრიბეთ ადამიანები, რომელთაც აქვთ ოცნებები, მიზნები, ძალა, სურვილი და ამბიცია. მათი ენთუზიაზმი ძალას შეგმატებთ და დაგეხმარებათ საკუთარი სურვილების ასრულებაში;
2. არასოდეს დაკარგოთ იმედი იმ შეთხვევაშიც კი, თუ სხვა ყველაფერს დაკარგავთ.
3. არაფერია შეუძლებელი, ვიდრე ჩვენ არ მივიჩნევთ მას შეუძლებლად.
4. რაც უფრო მეტად პოზიტიური ხართ, მით უფრო მეტად პოზიტიურები არიან ადამიანები თქვენს მიმართ;
5. კარგ დამოკიდებულებას შეუძლია შეცვალოს ცუდი სიტუაცია უკეთესობისკენ.
6. ნურასოდეს დაიჩივლებთ იმაზე, რისი შეცვლაც შეგიძლიათ.
7. შეიძლება ყოველდღიურად მნიშვნელოვანი რამ არ მოხდეს, მაგრამ ყოველი დღე შეიძლება გახადოთ მნიშვნელოვანი;
8. გჯეროდეთ თქვენი იდეებისა და ნაბიჯების. მიჰყევით მათ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე;
9. თუ გჯერათ საკუთარი თავის, სხვა ადამიანებიც დაგიჯერებენ;
10 აკეთეთ ის, რაც გსურთ და არა ის, რაც სხვა ადამიანებს სურთ თქვენგან;
11. შეწყვიტეთ ფიქრი იმაზე, თუ რა ხდება თქვენს თავს. იფიქრეთ რა შეიძლება, გააკეთოთ.
12. ყველაფერი რასაც აკეთებთ, წარმატებით არ დასრულდება, თუმცა, წარმატებაც მოვა, თუ ცდას არ შეწყვეტთ;
13.განსხვავება მარცხსა და წარმატებას შორის, ისევ ცდაა დამარცხების შემდეგ;

14. შესთავაზეთ დახმარება ადამიანებს, როდესაც შეგიძლიათ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც გეხმარებოდნენ;
17. გიყვარდეთ და შეგიყვარებენ; გაიღიმეთ და სამყაროც თქვენთან ერთად გაიღიმებს!

http5//www8$motivi.com/

სააქციო საზოგადოება „ოქსინო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, მრავალი წლის მანძილზე ახალგაზრდების აღმზრდელი, ბრწყინვალე მოქალაქე

ჯულიეტა ბაკურაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა

29 3-37-87;
568 82-09-84.

მაჩაბლის ქ. №7.

◎ ტესტი

გლრღნით შური?

„აი ივანიძეებს კოტეჯი კანარის კუნძულებზე აქვთ, პეტრიაშვილებს კი ცალკე სახლი ავსტრიის მთებში, მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ დღემდე მცირეგაბარიტიან „ხრუშჩოვკაში“. — ხომ არის რაღაც ნაცნობი ამ ფრაზაში? უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გაიგეთ, შურიანი ხართ თუ არა.

1. თუ ყოფილა, რომ გეფიქროთ: **რომ თქვენ უფრო ღირსი იყავით სამსახურში დაწინაურებისა, ვიდრე ის კოლეგა, ვინც ახალი თანამდებობა მიიღო?**
ა) კი. ბ) არა.

2. **იწვევს თქვენში ცხოველ ინტერესს თქვენი მეგობრებისა და ნაცნობების ხელფასი?**
ა) კი. ბ) არა.

3. **თუ ხდება ხოლმე, რომ არ გიხარიათ მეგობრების წარმატებები?**
ა) კი. ბ) არა.

4. **თუ გაქვთ ჩვევა, რომ თქვენი მეორე ნახევარი შეადაროთ თქვენი მეგობრის მეორე ნახევარს?**
ა) კი. ბ) არა.

5. **გაღიზიანებთ, რომ თქვენი მეგობრების შვილები თქვენს შვილებზე უკეთ სწავლობენ?**
ა) კი. ბ)არა.

6. **როდესაც დაინახავთ, რომ ადამიანმა ლატარიაში ან სატელევიზიო შოუში დიდი მოგება მიიღო, თუ გიჩნდებათ სურვილი ჩაერთოთ თამაშში?**
ა) კი. ბ) არა.

7. **თუ გიჩნდებათ ზოგჯერ გრძნობა, რომ თქვენს ნაცნობებთან შედარებით უიღბლო ადამიანი ხართ?**
ა) კი. ბ) არა.

8. **თუ ხედავთ მეგობრის რაღაც იშვიათ ან მეტად ორიგინალურ ნივთს, გიჩნდებათ სურვილი თქვენც შეიძინოთ ასეთი რამ?**
ა) კი. ბ) არა.

9. **თუ გიფუჭდებათ განწყობილება, როდესაც მეგობრებთან შეკრებაზე აღმოაჩენთ, რომ ვიღაცა თქვენზე გაცილებით უკეთაა ჩაცმული?**
ა)კი. ბ) არა.

10. **თუ იზიარებთ აზრს, რომ შური აიძულებს ადამიანს შეუტიოს ახალ სიმაღლეებს და რომ უიმისოდ წინსვლა არც იქნებოდა?**
ა) კი. ბ) არა.

11. **ეთანხმებით იმას, რომ დღეს მხოლოდ შენი ინტელექტითა და შრომისმოყვარეობით შეუძლებელია გამდიდრდე?**
ა) კი. ბ) არა.

12. **თუ ვინმე თქვენი ნაცნობებიდან დასასვენებლად მიემგზავრება ეგზოტიკურ (თბილ) მხარეებში, გინდათ თქვენც ასე მოიქცეთ?**
ა) კი. ბ) არა.

13. **თუ გაღიზიანებთ, რომ ვიღაცას თქვენი გარემოცვიდან აქვს მეტად ძვირფასი ავტომობილი?**
ა) კი. ბ) არა.

14. **თუ ეთანხმებთი მტკიცებას: „არ უნდა გშურდეს იმისი, ვისიც არავის არაფერი არ შურს“?**
ა) კი. ბ) არა.

15. **მიგაჩნიათ, რომ პრესტიჟულ და მაღალანაზღაურებად სამუშაოზე შეიძლება მხოლოდ პროტექციით მოეწყო?**
ა) კი. ბ) არა.

ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 2 ქულა, პასუხზე „ბ“ – ქულები არ ირიცხება. შეაჯამეთ ქულები და გააკეთეთ დასკვნები

0-10 ქულა. ეტყობა, თქვენ აითვისეთ მარტივი ჭეშმარიტება: თუ არ გინდა, რომ იტანჯებოდე, ნუ იქნები შურიანი. თქვენ უპირატესობას ანიჭებთ იმას, რომ გიხაროდეთ ცხოვრება, დატკბეთ იმით, რაც გაქვთ და არ ნაღვლობდეთ იმის შესახებ, რაც არ გაქვთ.

12-20 ქულა. თქვენზე არ შეიძლება ითქვას, რომ სულაც არ გაგაჩნიათ ეს ნაკლი. ყველაზე ხშირად, როდესაც ვიღაცისა გშურთ, თქვენ ამას თეთრ შურს უწოდებთ, მაგრამ როგორც არ უნდა უწოდო შურს, იგი მაინც შურად რჩება. ეზოპემ შენიშნა: „თუ ვინმეს თქვენზე მეტად უმართლებს, ნუ შეგშურდებათ მისი, გაიხარეთ მასთან ერთად და მისი წარმატება თქვენი გახდება“. ისწავლეთ, აღიქვათ გარშემომყოფთა წარმატებები, როგორც სტიმული — გახადოთ თქვენი ცხოვრება უკეთესი.

22-30 ქულა. ხდება ხოლმე, რომ გშურთ და თავს ვერაფერს უკეთებთ. არ ღირს დაკარგოთ თქვენი ძვირფასი დრო ამ უბრალო რამეზე, ვინაიდან სიბრძნე გვმოძღვრავს: შურმა არ იცის დღესასწაული, მისი ალი კი ბოროტია და შეუძლია ყველაფერი ბოლომდე დაწვას.

◎ სათრეველა

„ტაბულები“ და „ც-რუს-თავ-ორები“

ვინც ჩვენ დაგვამხო და დაგვაქცია,
ქვეყნიდან ხალხი ვინც გააქცია,
კვლავაც ჯამბაზობს, კვლავაც მაქციობს,
და სისხლი ისევ რომ დააქციოს,
იგესლება და აწყობს აქციას.

გულღვარძლიანი არამი ბევრი
უკვე დაიძრა მღვრიე მორევით,
5-დღიან ომში „რუსთა მომრევი“
ჩერგოლეიშვილ-გვარამიებით.
„ტაბულებით“ და „ც-რუს-თავ-ორებით“.

ალექსანდრე შენგელია

◎ წკეპლიკა

სიტყვა უმადურობაზე

უმადურობა ადამიანის სულის სიღატაკეა, უმადური კაცი ცოდვილია. **უმადურობა ყველაზე დიდი სასჯელია, ქართველ კაცს, რომ წყევლად ათქმევინა: „ღმერთმა უმადური გაგხადოსო“. სამწუხაროდ, ერთობ ბევრი გვყავს უმადურნი.**

სიკეთეს, მადლს გინებით პასუხობენ. ბატონი ბიძინა ივანიშვილის სიკეთე ზოგს მის ვალდებულებად მიაჩნია. ზოგმა ისიც კი იკადრა, რომ ღებულობდა სიკეთეს და თურმე არ იცოდა ვისგან... ზოგნი კი სიკეთის ორი დღით დაგვიანებისას გინების კასკადს აგორებენ.

ბატონო ბიძინა, პატიებას გთხოვთ, უმადურთა გამო.

ლონდა მდივანი

P.S. **დაუკვირდით სიტყვებს: „მადლი“, და „მადლობა“. ეს ორი დიდებული ქართული სიტყვა განუყოფელია.**

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 568 82-09-84..

◎ ციცცხალი ანეკდოტები

ორი ქერათმიანი ლამაზმანი საუბრობს:

— **წარმოგიდგენია, გუშინ ვიღაც ტიპმა დამირეკა და შემომთავაზა, რომ შუაღამისას შევხვედროდი სასაფლაოზე. კრეტინი ყოფილა ვიღაცა, არც კი მოსულა...**

* * *

— **რა** მანძილით იყავით დაშორებული **პირველი გასროლისას დანაშაულის ადგილს?** — ეკითხება მოსამართლე მოწმეს.

— **დაახლოებით 20 მეტრით.**

— **ესე იგი, თქვენ შეგეძლოთ ყველაფრის დანახვა. მეორე გასროლისას რა მანძილზე იყავით შემთხვევის ადგილიდან?**

— **ორ კილომეტრში.**

* * *

— **დედი, ბუფეტი წავაქციე!**

— **რა საშინელებაა! ახლავე ვეტყვი მამაშენს.**

— **მან უკვე იცის...**

— **???**

— **ბუფეტი მას დაეცა.**

* * *

— **ვიცი, რომ ტყვეობაში ყოფნისას თქვენ ფრჩხილებს ქვეშ ნემსებს გირჭობდნენ, გცემდნენ, გაწამებდნენ ელექტროშოკით, გდაღავდნენ გავარვარებული რკინით... როგორ ითმენდით ამდენ რამეს, თქვენ რა, ტკივილის შეგრძნება არა გაქვთ?**

— **მე დაქორწინებული ვიყავი...**

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24